# ფსიქოლოგია
## არსი და მიმდინარეობები

PDF generated using the open source mwlib toolkit. See http://code.pediapress.com/ for more information.
PDF generated at: Fri, 09 Nov 2012 08:19:04 UTC

# შინაარსი

## სტატიები


ფსიქოლოგია 1

ფსიქოანალიზი 5

ფსიქოდინამიკა 8

ზიგმუნდ ფროიდი 8

ერიხ ფრომი 20

დიმიტრი უზნაძე 23


## მინიშნებები


სტატიის წყაროები და ავტორები 26

Image Sources, Licenses and Contributors 27


## ლიცენზიის სტატია


ლიცენზია 28

# ფსიქოლოგია

ფსიქოლოგია

**ფსიქოლოგია** — მეცნიერება ადამიანის ფსიქიკურ კანონზომიერებათა შესახებ. მისი ინტერესის საგანი არა მარტო ფსიქიკური აქტივობებია, არამედ ადამიანი როგორც მთლიანი-პიროვნება, მისი ქცევის გაგება.

ტერმინი ფსიქოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან ფსიქე (რაც სულს ან/და "თვითს"(Self) ნიშნავს) და ლოგოს(მოძღვრება). ბერძნები ამ ტერმინით განსაზღვრავდნენ იმას, რაც განაპირობებს ადამინურ საქციელს.

პირველ ფსიქოლოგიურ ნაშრომად აღიარებულია არისტოტელეს "სულის შესახებ", რომელშიც შეძლებისდაგვარადაა განხილული ადამიანის სულიერი სამყაროს კანონზომიერებანი.

ფსიქოლოგიური კვლევა თავისთავშივე გულისხმობს ისეთ მეცნიერულ მოთხოვნებს როგორიცაა ფაქტების აღწერა, გამოკვლევა და წინასწარმეტყველება.

შესაბამისად, ამ მეცნიერებისათვის დამახასიათებელია კითხვები: რა? როგორ? რატომ?

თუ გარკვეულ მეცნიერებათა პრეროგატივის მიღმა ხვდებოდა კითხვა "რატომ?" ეს ფსიქოლოგიისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან ადამიანური ქცევის გამოვლინებათა მიღმა იმალება გარკვეული მოტივები-განზრახვები, რომელთა წვდომაც ამ შეკითხვის დასმას აუცილებლად გულისხმობს.

## ისტორია

„ფსიქოლოგიას ხანგრძლივი წარსული აქვს, მაგრამ მოკლე ისტორია"- წერდა ჰერმან ებინჰაუსი. ფსიქოლოგიის საწყისები ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩაისახა, თუმცა როგორც მეცნიერება მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. პირობითად გამოყოფენ ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების შემდეგ ძირითად ეტაპებს:

### წინამეცნიერული ეტაპი

უძველეს დროში გაჩენილი პრიმიტიული წარმოდგენები ადამიანის სხეულში მოთავსებული მეორე არსების - „სულის" - შესახებ საფუძვლად დაედო ფსიქოლოგიას. ჩვენს შორეულ წინაპრებს სწამდათ, რომ სული ან „აჩრდილი" დაკავებული იმის დადგენით, თუ რას ხედავს თვალი, რა ესმის ყურს და რას გრძნობს კანი. მათ მიაჩნდათ, რომ ძილის დროს სული გამოდიოდა სხეულიდან და ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით სიზმარში. ძველმა ცივილიზაციებმა მოიგონეს იდუმალი ძალით დაჯილდოებული ღმერთები და ქალღმერთები, რომლებიც იწვევდნენ ადამიანთა სულიერი სამყაროს ყველა აუხსნელ გამოვლინებას: ადამიანის მიერ რეალობის აღქმას, ფსიქიკურ აშლილობებს, სიყვარულს, სიმამაცეს, სიმხდალეს და ა.შ.

### მეტაფიზიკური ფსიქოლოგია

ძველ საბერძნეთში პირველი ფილოსოფიური სისტემების შექმნიდან მოყოლებული ადამიანის სულიერი სამყაროს გააზრება ფილოსოფიური წარმოდგენების ფარგლებში მოექცა. ბერძენი ფილოსოფოსების თხზულებებში (პლატონი, სოკრატე, არისტოტელე) მოცემულია ფსიქიკური პროცესების ერთგვარი გაგება:ისინი ისეთი მოვლენებია, რომლებიც რაღაც ზებუნებრივი, „სინამდვილის გადაღმა არსებული", მეტაფიზიკური არსის - „სულის" გამოვლინებას წარმოადგენენ. ფსიქოლოგიის განვითარების ამ ეტაპს მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის ეტაპს უწოდებენ. პირველი სპეციალური ფსიქოლოგიური ნაშრომი, ტრაქტატი სულის შესახებ შექმნა არისტოტელემ ჩვ.წ.აღ-მდე მეოთხე საუკუნეში. მას მიაჩნდა, რომ სული სხეულის არსია,

ანუ ის, რაც სხეულს ცოცხლად ხდის. ყველაფერი, რაც ცოცხალ არსებაში ხდება, სულის მოქმედების გამოვლინებაა.არისტოტელემ მოგვცა ადამიანის სულიერი გამოვლინებების, თანამედროვე ტერმინით ფსიქიკური პროცესების (შეგრძნება, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება, გრძნობები, ნებელობა) დახასიათება, რომელიც დღესაც გაოცებას იწვევს დაკვირვების სიმახვილით და ანალიზის სიზუსტით.

## ემპირიული ფსიქოლოგია

საუკუნეების მანძილზე ფსიქოლოგია სულის შესახებ მოძღვრებად ითვლებოდა. მე-17 საუკუნიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინტენსიურმა განვითარებამ გავლენა მოახდინა ფსიქოლოგიაზე, კერძოდ, ფსიქიკის გაგებაზე. სული, რომელიც დაკვირვებადი მოვლენების მიღმა არსებობს და აუხსნელ ძალად რჩება გამოირიცხა მეცნიერებიდან. ე.წ. ემპირიული ფსიქოლოგიის ხანაში ფსიქოლოგია შეისწავლის რეალურ ფსიქიკურ სინამდვილეს, ემპირიულ ანუ გამოცდილებაში მოცემულ ფსიქიკურ მოვლენებს. ამ კონცეფციის თანახმად ფსიქიკა ძირითადად გაგებულია როგორც მატერიალური სამყაროდან მოწყვეტილი, საზოგადოებრივი მოვლენებისაგან დამოუკიდებელი დახშული ფსიქიკური სამყარო. ამასთან ერთად ცალკეული ფსიქიკური მოვლენები შეისწავლებოდა ადამიანის, მთლიანი პიროვნებისაგან დამოუკიდებლად. ითვლებოდა, რომ ფსიქიკური პროცესების დაკვირვება მხოლოდ თვით სუბიექტს, ამ პროცესების განმცდელს შეუძლია და ამიტომ, ერთადერთ მეთოდად აღიარებული იყო თვითდაკვირვება ანუ ინტროსპექცია, რომელიც ხშირად სუბიექტივისტური შეცდომების წყაროს წარმოადგენს.

## ვუნდტის ფსიქოლოგიური ლაბორატორია

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აქტუალური გახდა ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად დამკვიდრება. ამაში განსაკუთრებული წლილი მიუძღვის გერმანელ მეცნიერს, ფიზიოლოგს, ვილჰელმ ვუნდტს, რომელმაც 1887 წელს ლაიპციგში დააარსა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია. მას სურდა შეესწავლა შეგრძნების და აღქმის ძირითადი პროცესები და მარტივი ფსიქიკური პროცესების სიჩქარე. იგი მარტივი ფსიქიკური პროცესების კვლევით ცდილობდა გამოეყო და დაეხასიათებინა რთული ფსიქიკური მოვლენების შემადგენელი ელემენტები. ვუნდტის სისტემა იყო ელემენტარისტული, რადგან მასში ცნობიერება მარტივი ერთეულებისაგან აგებულად განიხილებოდა.

## გეშტალტფსიქოლოგია

გერმანული სიტყვა „გეშტალტი“ ნიშნავს ფორმას ან კონფიგურაციას. გეშტალტფსიქოლოგიის მიხედვით გარემო ჩვენს მიერ არ აღიქმება ცალკეული ელემენტების კომბინაციის სახით, ჩვენ განვიცდით გარკვეულ ორგანიზებულ მთლიანობას და არა მისი ელემენტების უბრალო ჯამს. გეშტალტფსიქოლოგიის ფუძემდებელი გახლდათ გერმანელი ფსიქოლოგი მაქს ვერტჰაიმერი. მისი აზრით, მრავალ მოვლენას ფსიქიკა აღიქვამს, როგორც გეშტალტს - ორგანიზებულ მთელს და არა მარტივი ნაწილების ერთობას. როდესაც მაგალითად, ნახატს აღვიქვამთ, ის უფრო მეტია, ვიდრე საღებავის ცალკეული მონაცემების ერთობლიობა.

## ბიჰევიორიზმი

(ინგლ. behavior ქცევა) იგივე ქცევათმეცნიერება. ბიჰევიორიზმის ფუძემდებელი ამერიკელი მეცნიერი ჯონ უოტსონი ცდილობდა ფსიქოლოგია ექცია ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებად, იგი უარს აცხადებდა სუბიექტური სამყაროს, ცნობიერების შესწავლაზე და ამის საპირისპიროდ ფოკუსირებული იყო ობიექტურად მოცემული ქცევის შესწავლაზე. ამ მიმდინარების მიხედვით ყოველი ქცევა, რეაქცია არის პასუხი რაიმე გამღიზიანებელზე: **S—R** - ასეთია ბიჰევიორიზმის ფორმულა, სადაც **S** არის მოცემული გამღიზიანებლი, ხოლო **R** ორგანიზმის პასუხი, რეაქცია. ბიჰევიორიზმის მთავარი ამოცანაა იწინასწარმეტყველოს ქცევა და მართოს იგი. **S-R** ფორმულაში არ არის გათვალისწინებული ფსიქიკის მონაწილეობა - გამღიზიანებელი უშუალოდ იწვევს რეაქციას, ეს არ ეთანხმება ყოველდღიური დაკვირვების მონაცემებს. ბიჰევიორისტების მომავალმა თაობამ ე.წ. ნეობიჰევიორისტებმა ქცევის პროცესის დახასიათებისას მიმართეს შინაგან სამყაროსთან დაკავშირებულ მოვლენებს (მოთხოვნილება, განწყობა და სხვ.) და შუალედური ცვლადის სახით

მოათავსეს ისინი სტიმულსა და რეაქციას შორის.

### ფსიქოანალიზი

ამ მოძღვრების შემქმნელი ავსტრიელი მეცნიერი ზიგმუნდ ფროიდი ამტკიცებდა, რომ ცნობიერება ფსიქიკის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ჩვენი ქცევა განსაზღვრულია არა მხოლოდ და არა იმდენად ცნობიერებით, რამდენადაც არაცნობიერი ლტოლვებით. ეს ის მისწრაფებებია, რომელთა არსებობას ადამიანი თავის თავსაც არ უმხელს და რომლებიც თავისი „მიუღებლობის“ გამო არ დაიშვებიან ცნობიერებაში. ისინი არაცნობიერში განიდევნებიან. არაცნობიერი ტენდენციები შენიღბული სახით შეიძლება გამოვლინდნენ სიზმრებში, ფანტაზიებში, შემოქმედებაში, შეცდომით მოქმედებებში და სხვ. მდიდარ კლინიკურ პრაქტიკაზე დაყრდნობით ფროიდმა აღწერა ფსიქიკური შინაარის ცნობიერებიდან არაცნობიერისაკენ და პირიქით, არაცნობიერიდან ცნობიერებისაკენ მოძრაობის პროცესი. მისი დებულებების უმეტესობის შემოწმება დღესღეობით შეუძლებელია. ფროიდის იდეებზე დაფუძნდა ნეოფროიდიზმი და ეგო-ფსიქოლოგია, რომელთა ფარგლებშიც საფუძლიანად გადამუშავდა ფსიქოანალიზის ზოგიერთი არსებითი საკითხი. მაგალითად, ქცევის მამოძრავებელი ძალების ბუნება, მე-ს ფუნქცია პიროვნების სტრუქტურაში და სხვ.

### კოგნიტური ფსიქოლოგია

შეისწავლის შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს, ფსიქოლოგიის ამ მიმართულების დაფუძნებას და გავრცელებას ხელი შეუწყო კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის განვითარებამ. კიბერნეტიკა იმ იდეიდან ამოდის, რომ მართვისა და ინფორმაციის გადამუშავების პროცესები ყოველგვარ რთულ სისტემაში - კომპიუტერშიც და ცოცხალ არსებაშიც, ზოგად კანონზომიერებებს ემორჩილება, კომპიუტერის მსგავსად ადამიანში ინფორმაცია აისახება, გაიშიფრება, კლასიფიცირდება, შეინახება, გამოიყენება, ანუ ხდება ინფორმაციის გადამუშავება. კომპიუტერის მეტაფორა კოგნიტური ( შემეცნებითი) პროცესების შესწავლის ახალი საშუალებაა. ამჟამად კოგნიტური ფსიქოლოგია საყოველთაოდაა გავრცელებული.

### ჰუმანისტური ფსიქოლოგია

ეს ფსიქოლოგიური მიმდინარეობა მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდა, იგი აქცენტს ინდივიდის ფენომენოლოგიურ სამყაროზე, რაციონალური არჩევანის გაკეთებისა და მაქსიმალური პოტენციალის განვითარების თანდაყოლილ უნარზე აკეთებს. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ემყარება რწმენას, რომ ყოველ პიროვნებას შეუძლია საკუთარი თავისუფალი ნების საფუძველზე წარმათოს თავისი ქცევა და საერთო ჯამში, განსაზღვროს საკუთარი ბედი.

### თანამედროვე ფსიქოლოგია

დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებიდან მოყოლებული დღემდე ფსიქოლოგია წარმოადგენს არსებითად განსხვავებული თვალსაზრისების პაექრობის ასპარეზს. საყოველთაოდ მისაღები, ერთიანი ფსიქოლოგიური სისტემა ჯერ კიდევ არ არსებობს. დღესდღეობით ფსიქოლოგია ეყრდნობა ცნობიერების, არაცნობიერის, ქცევისა და პიროვნების კატეგორიებს.

## განხრები

ფსიქოლოგიის ძირითადი განხრებს წარმოადგენს: **ზოგადი ფსიქოლოგია, დიფერენციალური ფსიქოლოგია, გენეტიკური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, პათოფსიქოლოგია, ასაკობრივი ფსიქოლოგია** და **ორგანიზაციული ფსიქოლოგია**.

**ზოგადი ფსიქოლოგია** შეისწავლის ზრდასრული, ნორმალური, კულტურის თანამედროვე დონეზე მყოფი ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებებს.

**დიფერენციალური ფსიქოლოგია** შეისწავლის ადამიანთა შორის არსებულ ფსიქოლოგიურ სხვაობებს, იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა ტიპის, ასაკის, სქესის, პროფესიის თუ ეროვნების

ადამიანებს; აგრეთვე კონკრეტული პიროვნებების ინდივიდუალურ მახასიათებლებს.

**გენეტიკური ფსიქოლოგია** შეისწავლის ისეთ ფსიქიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ადამიანის ევოლუციის პროცესში და არა კულტურული განვითარების სტადიაზე.

სოციალური ფსიქოლოგია ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ფსიქიკურ თავისებურებებს იკვლევს. მისთვის ნიშანდობლივია საზოგადოების გავლენა ინდივიდზე.

**პათოფსიქოლოგია** იკვლევს ფსიქიკის ანომალიურ, პათოლოგიურად შეცვლილ ფორმებს, რაც თავს იჩენს ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევებში;

**ასაკობრივი ფსიქოლოგია** შეისწავლის ადამიანის ფსიქიკის განვითარებას და ცვალებადობას ონტოგენეზში, ე.ი. მისი ცხოვრების განმავლობაში-დაბადებიდან სიკვდილამდე.

**ორგანიზაციული ფსიქოლოგია** შეისწავლის პროფესიული შრომის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ამ პროცესის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით; ასევე სამუშაო პირობების ადეკვატურობასა და შრომისუნარიანობის ზრდას.

ფსიქოლოგია სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებებს შორის ყველაზე ბოლოს გამოეყო ფილოსოფიას, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით: ზიგმუნდ ფროიდს (ფსიქოანალიზის ფუძემდებელი) და ვილჰელმ ვუნდტს (პირველი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური ლაბორატორიის შემქმნელს, რომლის მონაფეც იყო ქართული ფსიქოლოგიის მამა, განწყობის თეორიის ავტორი დიმიტრი უზნაძე).

## ლიტერატურა

- ირაკლი იმედაძე, ფსიქოლოგიის საფუძვლები
- რევაზ ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი

## რესურსები ინტერნეტში

- **(ქართული)** ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი [1]
- დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შრომები [2]

## მინიშნებები

[1] http://www.fdhr.ge/geo/

[2] http://burusi.wordpress.com/თემები/ფსიქოლოგია/დიმიტრი-უზნაძე/

# ფსიქოანალიზი

**ფსიქოანალიზი** (ფსიქო... და ანალიზი) — ფსიქოთერაპიის მეთოდი და ზოგადფსიქოლოგოური მოძღვრება, რომელიც კვლევის ძირითადი ობიექტად ხდის არაცნობიერ ფსიქიკურ პროცესებსა და მოტივაციას. ის პირველი სტრუქტურიზებული ფსიქოდინამიკური თეორიაა. ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, მისი ფუძემდებელია ფროიდი.

ფროიდი გვაფრთხილებს, რომ ფსიქოანალიზის შესწავლას აუცილებლად თან სდევს არასრულფასოვნების განცდის გაცნობიერება და ასევე საკუთარი აზროვნების წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მისდამი. ფსიქოანალიზი სიტყვით განკურნების საშუალებაა, მაგრამ იგი გულისხმობს ძალზე ინტიმურ გარემოს აუცილებლად ორ ადამიანს შორის. ფსიქოანალიზი ინტელექტს სერიოზულ დარტყმას აყენებს რადგან იგი გვარწმუნებს, რომ ინტელექტი ემყარება არაცნობიერი მოტივების წაქეზებას და არა ე.წ. თავისუფალ არჩევანს აზროვნებაში; ხოლო მორალურ-ესთეტიკურ შეხედულებებს ცვლის ახალი შეხედულებით მათდამი, რომელიც გულისხმობს მათში სექსუალური ლტოლვების(ამ ცნების არამარტო ვიწრო მნიშვნელობით) უმნიშვნელოვანეს როლს, როგორც ეს ნერვული აშლილობებისას ხდება... ეს იმას ნიშნავს, რომ სექსუალური ლტოლვები სახეცვლილი გვევლინებიან და ხელოვნების ან რელიგიის (ესთეტიურ ან მორალურ) სახეს იძენენ. ამის ხარჯზე პიროვნება, სექსუალურ ენერგიას სხვა გასოციალურებულ ფორმებში წარმართავს ანუ ახდენს სუბლიმაციას. სუბლიმაცია კულტურის შექმნის უფუნდამენტალურესი წინაპირობაა, რომელიც ზემოაღნიშნულ ფსიქიკურ ფენომენს ეყრდნობა. ლათინური სიტყვა Sublimo-(ვმაღლდები) ასევე გამოიყენება მყარი ნივთიერების აირად მდგომარეობაში გადასვლის აღსანიშნავად. პიროვნება, რომელიც სუბლიმირებს რისკავს საკუთარ ფსიქიკურ ჯანმრთელობას, რადგან იგი სექსუალური დაკმაყოფილების კომპრომისულ-ჩანაჩვლებით საშუალებას-სუბლიმაციას მიმართავს.სუბიეტი სექსუალურ აქტს შემოქმედებითი ან სპორტული აქტივობით ჩაანაცვლებს(ხატვა, სიმღერა, სირბილი და ა.შ). ეს ძალზე ზოგადი და უნივერსალური ფსიქიკური პრინციპია, რადგან სექსუალური და აგრესიული ლტოლვები ურთიერთჩანაჩვლებასაც განიცდიან. სექსუალური ლტოლვის რეალიზების შეფერხებისას შესაძლოა ჩამოყალიბდეს ნერვიული სიმპტომი (მამაკაცებში, როდესაც ადგილი აქვს ჭარბ „ფურთხებას“, რომელსაც არ გააჩნია ფიზიოლოგიური ან სიტუაციური განპირობება განიხილება, როგორც სპერმის გამოყოფის კომპრომისული-სახეცვლილი ფორმა; ქალებში - გადაჭარბებული მიდრეკილება კვებისკენ; ვერბალური სიბილწე - გინება, რომელიც აგრესიულობის ამაღლებულ დონეს მოასწავებს და ა.შ), რომელიც ფსიქოანალიზში განიხილება ფსიქიკური პრობლემის გარე გამოხატულებად.

## ფსიქოანალიზის შესახებ



ზიგმუნდ ფროიდი, 1921 წელს

ფსიქოანალიზის თეორია პიროვნების პირველი თეორიაა. ფროიდისთვის ადამიანი და პიროვნება ერთი და იგივეა. ფსიქოლოგია მარტო ადამიანს აქვს. ფროიდი ევოლუციური თეორიის მომხრეა. ნაშრომში "ტოტემი და ტაბუ" განიხილავს ორდა არსებებს, რომლებიც არც მაიმუნები არიან და ჯერ არც პიროვნებები, ცხოვრობენ ჯოგებად, ჯგუფებად. ჰყავთ უფროსი მამრი და მის გარდა არც ერთ წევრს არ აქვს საპირისპირო სქესთან სექსუალური ურთიერთობის დამყარების უფლება. ბიჭები იწყებენ ამბოხს მამის წინააღმდეგ და კლავენ მას და ძალიან ნანობენ ამას. ორდა არსებები იწყებენ შეთანხმებას, სექსუალური კავშირების გადანაწილებასა და ნადავლზე. აქ ეყრება საფუძველი პირველ საზოგადოებრივ კანონებს. იკრძალება ინცესტი და მამისადმი აგრესია. ეს ისეთი აკრძალვებია, რომლების ცნობიერებაში გაჩენაც კი დაუშვებელია - ტაბუირებულია.

საზოგადოების და პიროვნების ჩამოყალიბება პარალელური პროცესებია. ფროიდის მიხედვით, პირველი ცოდვა მამის მკვლელობაა; რელიგიის წარმოშობა ამ ცოდვის მონანიებას უკავშირდება. ღმერთის ხატი ეფუძნება ფილოგენეტურ მზაობასა და ონტოგენეტურად ფორმირებულ მამის ხატს არაცნობიერში; დედამიწაზე არსებულ რელიგიათა უმრავლესობაში ღმერთი მამრობითია და მას მრავლად აქვს ისეთი მახასიათებლები, როგორსაც ბავშვი განიცდის მამის მიმართ (ძლიერება, სამართლიანობა, ყოვლისმცოდნეობა, შიში ან/და მისი იმედი და ა.შ.). ბავშვი რომ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, ონტოგენეზში უნდა გაიაროს ფილოგენეზის მსგავსი საფეხურები. ხუთი წლის შემდეგ ხდება იმის დახვეწა, რაც ხუთ წლამდე ჩამოყალიბდა.

ბავშვი დაბადებისას "იგი" (id)-ს მდგომარეობაშია. "იგი" არის მთლიანად არაცნობიერი, ბნელი. მისთვის ლოგიკური აზროვნება უცხოა და არსებობს მხოლოდ აწმყო. აქვს სურვილები, რომელთა დაკმაყოფილებასაც მიელტვის. მისი მოქმედების პრინციპი არის სიამოვნების პრინციპი, რომელსაც თუ რეალობაში ვერ მიაღწევს, ახორციელებს შემდეგ მექანიზმებს: ჰალუცინაციები და რეფლექსური განტვირთვა. რისი დაკმაყოფილებაც ვერ ხერხდება, გარკვეული სახით ილექება და ვითარდება კომპლექსები. "მე" (ego)-ს მოქმედების პრინციპი რეალურობის პრინციპია. "იგი"-ს მოთხოვნილება რომ დაკმაყოფილდეს, რეალობაში უნდა გავიდეს. ჰალუცინაციებით არ ხერხდება მოთხოვნიბების დაკმაყოფილება. რეალობაში გასვლიდან იწყება "მე"-ს ჩამოყალიბება. "მე" არის "იგი"-ს განვითარების გარკვეული საფეხური. "მე"-მ გარკვეულწილად უნდა დააკმაყოფილოს "იგი"-ს მოთხოვნილებები, თან ისე, რომ რეალობა უნდა გაითვალისწინოს. რეალობა უქმნის ბარიერებს. მექანიზმი, რითაც "მე" თავისი მოქმედების პრინციპს ახორციელებს, არის ფსიქიკური პროცესები. მათი საშუალებით ხდება სინამდვილესთან ურთიერთობის დამყარება. ფროიდისათვის პირველადი ფსიქიკური არის "იგი", მეორადი - "მე". "მე"-მ უნდა მოატყუოს "იგი", რომ დასტყუოს ენერგია. "იგი"-ს არ შეუძლია ერთმანეთისაგან გაარჩიოს აღქმის ხატი ჰალუცინაციის ხატისაგან. "იგი"-ს აღქმის ხატი მოქმედებაში მოყავს. (აღქმა ბოლომდე ობიექტური არ არის). "მე"-ს პარალელურად, ყალიბდება "ზე-მე"(super-ego). "ზე-მე" არის ის, რასაც ჩვენ მორალს ვუწოდებთ და ის მორალური პრინციპებით მოქმედებს. მისი მექანიზმი "მე"-ზე სინდისისა და სიამაყის გრძნობებით მანიპულირებს. მორალის ჩამოყალიბება მშობლებთან იდენტიფიკაციის გზით ხდება. "ეგო" ორი ბატონის მსახურია: "იგი"-ს და "ზე-მე"-სი. მას მესამე ბატონიც ჰყავს – რეალობა.




**პიროვნების მოდელი, რომელიც ფროიდმა ჩამოაყალიბა, შედგება ფუნქციურად განსხვავებული სამი ქვესტრუქტურისაგან,რომელთა ერთობლიობაც დამახასიათებელია ნებისმიერი პიროვნებისთვის.**

**ID** - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს "იგი"-ს, მას ეწოდა "იგი"-რადგან ის ყველაზე უფრო მეტადაა განსხვავებული იმისგან რასაც "მე"-ს ვუწოდებთ. "იგი" ფლობს ისეთ ენერგიათა ფორმებს, რომლებიც კრიტიკულ ვითარებაში არ ემორჩილებიან "მე"-ს.(შფოთვა, შიში, აგზნება და ა.შ). "იგი" არის ინსტინქტთა საბადო. "იგი" მთლიანად არაცნობიერია და ვინაიდან ვერ არჩევს გარეობიექტთა მნიშვნელობას, მას გააჩნია ამორალური("ზე-მე"-ს საწინააღმდეგო) სურვილების წარმოშობის ძალა(აგრესიული და სექსუალური იმპულსები). ყოველივე ეს ვლინდება სიზმრებსა და მცდარ ქმედებებში. "იგი"-სთვის არ არსებობს არანაირი ლოგიკა ან შეზღუდვა, ის მოქმედებს სიამოვნება-უსიამოვნების გარჩევის პრინციპით და შესაბამისად, მისთვის მოქმედების ერთადერთი საშუალება არსებობს - ესაა განტვირთვა ან განგაშის განცდების გაგზავნა "მე"-სთან, რათა უსიამოვნებას განერიდოს.

**EGO** - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს "მე"-ს(Self); "მე" არის ფსიქიკური სტრუქტურა, რომელიც ყველაზე ცნობიერია, და შესაბამისად, იგი არის პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიღებაზე. "მე" ისწრაფვის "იგი"-ს სურვილების დაკმაყოფილებისკენ გარემოში ქცევის საშუალებით, ისე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს "ზე-მე"-ს მიერ წაყენებული მოთხოვნა-აკრძალვებიც. "მე" რეალობაზე დაყრდნობით მოქმედებს და მისი უდიდესი ნაწილი ცნობიერია. "მე"-ს იდეალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია "იგი"-ს მიერ წაყენებული მოთხოვნების დროში გადავადება მანამდე, სანამ მიზანშეწონილი ქცევით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის სათანადო სიტუაცია არ შეიქმნება, რაც თავისთავად გულისხმობს გარემოში "ზე-მე"-ს აკრძალვის გათვალისწინებას.

**SUPER-EGO** - არის ეგოს განვითარების საფეხური. ის ყალიბდება სოციალიზაციის შედეგად, ევოლუციის გზით. მისი არსია სხვა სუბიექტთა ინტერესების გათვალისწინება ქცევაში, რათა სოციალურ ჯგუფში კონფლიქტი არ მოხდეს. "ზე-მე" გულისხმობს კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს, ის არის ე.წ. მორალი და სინდისი. მას აქვს ემოციათა გარკვეული ფორმების დომინირების ძალა,- სირცხვილის შიში ან/და დანაშაულის შეგრძნება და ა.შ. "ზე-მე"-ში გამოიყოფა ორი ქვესისტემა. ესენია ეგო-იდეალი და სინდისიერი სტრუქტურა; ეგო-იდეალი ყალიბდება წახალისების შედეგად, ხოლო სინდისიერი სისტემა - დასჯის შედეგად. "ზე-მე" დასრულებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მშობლების კონტროლს თვითკონტროლი ენაცვლება.

## რესურსები ინტერნეტში

- ფსიქოანალიზის საერთაშორისო ვებ-გვერდი [1]
- BBC-ის ფროიდის ინტერვიუ [2]

## მინიშნებები

[1] http://www.psychoanalysis.com/
[2] http://www.youtube.com/watch?v=_sm5YFnEPBE

# ფსიქოდინამიკა

**ფსიქოდინამიკა** არის თერმოდინამიკის პრინციპთა გამოყენების შედეგი ფსიქოლოგიაში. უფრო დეტალურად, ფსიქოდინამიკა წარმოადგენს ადამიანის ქცევის შესწავლის მეთოდს, მოტივაციისა და Drive-ის (აღმძვრელი, მამოძრავებელი, მასტიმულირებელი) საფუძველზე; ეს მიდგომა განზოგადებულია ნებისმიერი პიროვნების, ნებისმიერ დროს განხორციელებულ ქცევაზე. ინდივიდი ფსიქოდინამიკაში განიხილება, როგორც გენეტიკური კონსტიტუციისა და გარემო პირობების ურთიერთქმედების პროდუქტი. სამედიცინო პრაქტიკაში ფსიქოდინამიკა განსაზღვრულია, როგორც შესწავლის სისტემატიზირებული მეთოდი ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ქცევას; განსაკუთრებით არაცნობიერ და ცნობიერ მოტივთა ურთიერთქმედებისა და ემოციის ფუნქციონალური მნიშვნელობის თვალსაზრისიდან.

ფსიქოდინამიკის პირველი კონცეფცია განავითარა ზიგმუნდ ფროიდმა, რომელმაც დაიწყო თერმოდინამიკის (ჰერმან ფონ ჰელმჰოლცის) გაბატონებულ პრინციპთა გამოყენება ფსიქოლოგიაში. ფროიდმა პირველმა ივარაუდა ფსიქიკურ პროცესთა ენერგიის მსგავსად გააზრების პრინციპი; მან დააფუძნა ფსიქოდინამიკა, როგორც საფუძველი ფსიქოლოგიური ენერგიის(რომელსაც მან ლიბიდო უწოდა) წარმოშობისა და ფუნქციის შემსწავლელი საბაზისო სისტემა.

# ზიგმუნდ ფროიდი



ზიგმუნდ ფროიდი, 1920 წელს

**ზიგმუნდ ფროიდი** (დ. 1856 წლის 6 მაისს იმ დროისთვის ავსტრიის იმპერიის ქალაქ ფრაიბერგში (ამჟამად ჩეხეთის ქალაქი პრჟიბორი) — გ. 23 სექტემბერი, 1939, ლონდონი), ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

იგი არის სიღრმის ფსიქოლოგიის, როგორც ადამიანის ახალი ხედვისა და პიროვნების პირველი თეორიის-ფსიქოანალიზის დამფუძნებელი. ასევე მისი წვლილი ფსიქოლოგიაში იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ მან ჩამოაყალიბა და განავითარა ფსიქოდინამიკა, როგორც ახალი ფსიქოლოგიური თვალსაზრისი, რომელშიც ცენტრალურია: არაცნობიერი, ე.წ. Drive-ი(ქცევის ფსიქიკური მასტიმულირებელი, მამოძრავებელი ან/და აღმძვრელი ფაქტორები.) ინდივიდი ფსიქოდინამიკაში განიხილება, როგორც გენეტიკური კონსტიტუციისა და გარემო პირობების ურთიერთქმედების პროდუქტი. ეს პიროვნება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოვიდა ასპარეზზე. 18 წლისამ, ვენის უნივერსიტეტში ნაშრომები წარადგინა, თუმცა დაიწუნეს და აუკრძალეს ამ სფეროსი მუშაობა. გავიდა ხანი და მან საკუტარი სახსრებით წიგნიც კი გამოსცა - პარაფსიქოლოგია და სიზმრები. რის შედეგადაც ხალხში დიდი პოპულარობა მოიპივა და მალე პაციენტების მიღებაზეც დასთანხმდა. სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს იმ სფეროში, რაშიც თავად მოღვაწეობდა.სალვადორ დალი მასზე ამბობდა- ის ჩემი მეორე მამა არისო. სიურრეალიზმი სწორედ მის ნაშრომებით იკვებებოდა. ფროიდი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა ლონდონში 1939 წლის 23 სექტემბერს სახის კიბოთი, მან 33-ჯერ გაიკეთა ოპერაცია, ბოლო წლები იგი ატარებდა ხახის პროტეზს, მაგრამ მაინც არ წყვეტდა სიგარის წევას. მისი მეცნიერული შემოქმედება ცხოვრების ბოლომდე გრძელდებოდა, თუმცა ბოლო 4 წლის განმავლობაში იგი ლექციებს ვეღარ კითხულობდა და ცხადია ვეღარც

ფსიქოთერაპიას ეწეოდა კლიენტებთან, რადგან პირის ღრუსთან დაკავშირებულმა სიმსივნურმა პრობლემებმა მისი ხმა ძალიან დაასუსტა. მისი საყოველთაოდ ცნობილი გარდაცვალების ფაქტი ასეთია: ფროიდმა თავად სთხოვა ექიმს მორფინის ზედმეტი დოზა მიეწოდებინა მისთვის, რადგან იგი ძალიან იტანჯებოდა და ტკივილების გადატანას აზრიც აღარ ჰქონდა. იგი სიკვდილის დროსაც შეგნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

## ზიგმუნდ ფროიდის 150-წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია

**150 წლის წინ დაიბადა ადამიანი, რომელმაც დასაბამი დაუდო ჩვენს მოგზაურობას სულის დაუსრულებელ სიღრმეებში.**

ვენა. 1885 წლის 20 ივნისი. შაბათი საღამო. ახალგაზრდა ნევროპათოლოგი ზიგმუნდ ფროიდი საავადმყოფოში შეყოვნდა. იგი სასიყვარულო წერილს წერს. "შაბათი საღამო" შემთხვევით არ არის მითითებული. ექიმი ფროიდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზუსტ თარიღებს. იგი ყველაფერს ანიჭებს მნიშვნელობას. გონება ვნების წინააღმდეგ — მთელი მისი ცხოვრების თემაა. იმ საღამოს სიყვარულმა იზეიმა გამარჯვება. როგორც ზღაპარშია: პრინცი აკაკუნებს სასახლის კარიბჭეზე."ჩემო პატარა პრინცესა! მე დიდი ხნით ჩამოვალ, გატენილი საფულით (და მე შენთვის მაქვს რაღაც), ხოლო შემდეგ წავალ პარიზში, გავხდები იქ დიდი მეცნიერი, ვენაში შარავანდედმოსილი დავბრუნდები და ჩვენ მაშინვე დავქორწინდებით. მე ვუმკურნალებ ყველა განუკურნებელ ნევროტიკს, შენ კი იზრუნებ ჩემს ჯანმრთელობაზე, და მე ბევრს, ბევრს გაკოცებ მანამ, სანამ შენ არ გახდები ძლიერი, მხიარული და ბედნიერი, და ჩვენზე დაწერენ: თუ ისინი არ მოკვდნენ, მაშინ ცოცხლები არიან დღემდე." საკუთარი თავისადმი ირონიული დამოკიდებულება — ეს მთლიანად ფროიდია. იმ მომენტშიც კი, როდესაც მისი ბედი წყდება. მან ესესაა მიიღო ნანატრი სტიპენდია საზღვარგარეთ სტაჟირებისთვის. მას ხომ უკვე დაესიზმრა, რომ ფულს უფრო დამსახურებულ კანდიდატს მისცემდნენ! გახარებული ფროიდი წერს ჰამბურგში მყოფ საცოლეს მარტას. იგი მაინც წავა პარიზში, მსოფლიოში ცნობილ ნევროპათოლოგთან ჟან მარტინ შარკოსთან! ის, რასაც იგი იქ ნახავს, გაიგებს და შეინახავს მეხსიერებაში, აქცევს ახალგაზრდა პრივატ-დოცენტს ვენიდან იმ ფროიდამდე, რომელსაც დღეს იცნობს მთელი მსოფლიო. გამგზავრება პარიზში — ეს არის დასაწყისი მისი გრძელი და ხანგრძლივი მოგზაურობისა შეუცნობელში, "იდის" სამეფოში. 15 წლის შემდეგ "სიზმრებში" ფროიდი დაწერს: "არაცნობიერი არის ჭეშმარიტად რეალური ფსიქიკური." და ვინ დაადანაშაულებს მას თავმდაბლური ფანტაზიისთვის უკვდავების შესახებ პრინცესასთვის მიწერილ წერილში? ზიგმუნდ ფროიდი გარდაიცვალა თითქმის 70 წლის წინ, მაგრამ "ის დღემდე ცოცხალია, როგორც აღნიშნა ერთმა ბიოგრაფმა. უკვე დიდი ხანია ყოველდღიურ ხმარებაში შემოვიდა ისეთი ცნებები, როგორიცაა განდევნა და ნევროზი, "წამოცდენები ფროიდისეულად", ოიდიპოსის კომპლექსი და ნარცისიზმი... ეს სიტყვები თითქოს ყველასთვის ნაცნობია, მაგრამ ცოტას თუ აქვს წარმოდგენა, რას ნიშნავს ყველაფერი ეს. ფროიდის პერსონა დღემდე მოცულია ურთიერთწინააღმდეგობების ბურუსით. ვის არ ხედავენ მასში! აზროვნების გიგანტს, დიდ ამომხსნელს იმ საიდუმლოებისა, რასაც ადამიანი ჰქვია, და პირიქით: მეცნიერული ზღაპრების შემთხზველსა და ავანტიურისტს. თავისი "შარავანდედი" ფროიდმა მიიღო, იგი თავად მონაწილეობდა მის შექმნაში. საუკუნეების გასაყარი, როდესაც ზიგმუნდ ფროიდმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქოანალიზს — ეს არის ეპოქა ფინ დე სიეცლე, "საუკუნის დასასრული", ადამიანთა ცხოვრებასა და საქმიანობაში რადიკალური ცვლილებების პერიოდი. 1905 წელს ალბერტ აინშტაინმა შეცვალა სამყაროს ფიზიკური სურათი, უფრო ადრე, 1900 წელს მაქს პლანკმა საფუძველი ჩაუყარა კვანტურ მექანიკას. კიდევ უფრო ადრე, 1895 წელს კონრად რენტგენმა აღმოაჩინა საოცარი სხივები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ჩავიხედოთ ადამიანის სხეულში... ეს არის ეპოქა, როდესაც ყველგან გაყავთ სატელეფონო და ტელეგრაფის ქსელები, რომლებიც კონტინენტებს აკავშირებენ ერთმანეთთან. შეუჩერებლად იზრდება ქალაქები და მათთან ერთად სოციალური პრობლემებიც, მაგალითად, უმუშევრობა. ევროპაში იბადება ნაციონალიზმი და იმპერიას, რომელიც ვენის მშვენიერი ფასადის უკან იმალება, გარდაუვალი დანგრევა ემუქრება. და რაც მთავარია — ადამიანებში სულ უფრო კლებულობს სიკვდილის შემდეგ გადარჩენის რწმენა...

ფროიდის ძეგლი

მას შემდეგ, რაც ნიცსშემ თქვა, რომ ღმერთი მოკვდა, აღმოცენდა ეგზისტენციალური ვაკუუმი, — ასე აღწერს "საუკუნის დასასრულის" სულიერ მდგომარეობას პროფესორი როლფ ჰაუბლი ფრანკფურტის ზიგმუნდ ფროიდის სახელობის ინსტიტუტიდან. სწორედ ამ ვაკუუმში წარმოიშვა ფსიქოანალიზი — მცდელობა ახლებურად გაეცეს პასუხი კითხვას ადამიანის არსისა და ბედისწერის შესახებ. უფრო და უფრო არამყუდრო სამყაროში საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ინდივიდი იძულებული იყო თავიდან ეძებნა თავისი ადგილი დედამიწაზე — ყურადღებით დაკვირვებოდა საკუთარ შინაგან სამყაროს. ფსიქიკურის ძიება ადამიანში —გუსტავ კლიმტის ნახატებიდან დაწყებული ფროიდის ფსიქოანალიზით დამთავრებული — იყო ვენური "საუკუნის დასასრულის" საფირმო ნიშანი. ეს იყო რეაქცია ახალ დროში პიროვნების კრიზისზე, — წერს ამერიკელი ისტორიკოსი კარლ შორსკე. რაციონალურმა ადამიანმა (რომელიც საკუთარ თავს მართავს მორალის საშუალებით, ხოლო ბუნებას იმორჩილებს მეცნიერების დახმარებით) მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ადგილი დაუთმო ფსიქოლოგიურ ადამიანს — უფრო რთულს და უფრო ამოუცნობს. ჩვენი "იდი", თუნდაც შიშით, მაგრამ მაინც იწყებდა საკუთარი გრძნობებისა და ინსტინქტების სარკეში თვალიერებას. ფროიდის შრომების გარეშე ყველაფერი ეს წარმოუდგენელი იქნებოდა. უხეშად რომ გამოვხატოთ ჭეშმარიტება, შეიძლება ითქვას ასეც: ფროიდი — თანამედროვე ადამიანის ექიმი. სიგიზმუნდ-შლომო (ზიგმუნდ ფროიდი) დაიბადა 1856 წლის 6 მაისს მორავიის ქალაქ ფრეიბერგში. სამი წლის შემდეგ მისი მამის, იაკობ ფროიდის, ღარიბი ტყავით მოვაჭრის, ფინანსური მდგომარეობა უარესობისკენ წავიდა. ოჯახი ვენაში გადავიდა საცხოვრებლად. დადგა მძიმე დრო. ფროიდს თითქმის ნახევარი ცხოვრების მანძილზე სიღარიბის შიში სდევდა თან. როდესაც იგი 43 წლის იყო, იგი მეგობარს წერდა: "ფული ისე მოქმედებს ჩემზე, როგორც გამამხიარულებელი გაზი." მოგვანებით ფროიდმა უარი თქვა დაბადებისას მისთვის დარქმეულ სახელზე. ჩააბარა რა 17 წლის ასაკში ვენის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, სიგიზმუნდი გახდა ზიგმუნდი, ხოლო სახელ შლომოს საერთოდ არ ხმარობდა. მართალია ბავშვობაში მას აოცებდა "ძველი აღთქმა" და მთელი სიცოცხლის მანძილზე აღიარებდა, რომ იუდაიზმის მიმდევარი იყო, ფროიდი უფრო მეტად მაინც ათეისტად აღიქვამდა საკუთარ თავს და ებრაულ დღესასწაულებს არასოდეს არ აღნიშნავდა. იმ დროისათვის, როდესაც ზიგმუნდი (30 წლის, სიმაღლე — 170სმ, წონა — 66კგ, მზემოკიდებული სახე) ერთწლიანი სავლდებულო საჯარო სამსახურის შემდეგ, დაქორწინდა თავის საცოლეზე, ყოფილი ჰამბურგელი რაბინის ბერნეისის შვილიშვილზე, იგი უკვე საბუნებისმეტყველო მედიცინის დიდი მიმდევარი იყო.

ფროიდისთვის ეს მეცნიერული მიმდინარეობა პირველ რიგში დაკავშირებული იყო ერნსტ ბრიუკეს სახელთან, რომელიც მისი მფარველი იყო უნივერსიტეტში სწავლის წლებში. ცნობილმა ფიზიოლოგმა ზიგმუნდს მეცნერული სიზუსტისადმი სიყვარული ჩაუნერგა. ზიგმუნდმა, რომელიც ღამეებს ატარებდა ლაბორატორიებში და მიკროსკოპის ქვეშ სწავლობდა თევზების და კიბოების ნერვულ უჯრედებს, ახალი მეთოდიც კი გამოიგონა ნერვული ქსოვილის ანათალების შესაღებად. მას ყოველთვის ახსოვდა თავისი მასწავლებელი და თავის მესამე ვაჟს ერნსტი დაარქვა.

ფროიდს სხვა გმირებიც ჰყავდა. მისი ახალგაზრდობის კუმირი იყო ოლივერ კრომველი, მე-17 საუკუნის ინგლისში სამოქალაქო ომების ლიდერი (ფროიდის მეორე ვაჟს ოლივერი დაარქვეს). ხოლო თავის პირველ ვაჟიშვილს ჟან მარტინს ეს სახელი შარკოს პატივსაცემად დაარქვა, რომელსაც მოგვიანებით 1885 წლის შემოდგომაზე შეხვდა.

პარიზი. 1885 წლის 24 ნოემბერი. "ჩემო ძვირფასო, მე ძალიან კარგად ვარ. დიდი ცვლილებები ხდება. შარკომ — ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ექიმმა, გენიოსმა ადამიანმა — უბრალოდ გადაატრიალა მთელი ჩემი მსოფლმხედველობა. მისი ლექციებიდან ისე გამოვდივარ, როგორც ნოტრ-დამის ტაძრიდან, სავსე ემოციებით

და განცდებით. თუმცა ეს მე მღლის; ამის მერე არანაირი სურვილი აღარ მაქვს საკუთარი სისულელეებით დავკავდე.” ჟან მარტინ შარკო, ”58 წლის მაღალი ადამიანი, თავზე ცილინდრით, მუქი ფერის თვალებით და რაღაც განსაკუთრებულად რბილი მზერით” — ეს იყო მიუწვდომელ სიმაღლეზე მდგარი ოსტატი “ჯადოქრის მონაფე”,-ფროიდის თვალში. ერთხელ შარკომ თავის ვილაში დაპატიჟა საღამოს გასატარებლად. იმისთვის, რომ უხერხულად არ ეგრძნო თავი ელეგანტურად ჩაცმული ქალებისა და მამაკაცების კომპანიაში, ახალგაზრდა სტაჟიორმა კოკაინს მიმართა. ჯერ კიდევ ვენაში, როდესაც ექიმის ასისტენტად მუშაობდა, ფროიდი უნიშნავდა პაციენტებს და მედდებს მოდურ “ტკივილგამაყუჩებელ და მატონიზირებელ” პრეპარატს, მარტასაც კი უგზავნიდა მცირე დოზებს ჰამბურგში. 1884 წლის ნაშრომში “კოკაინზე” ფროიდი აქებდა ნივთიერების თერაპიულ მნიშვნელობას, რისთვისაც მოგვიანებით, როდესაც დაგროვდა საკმარისი რაოდენობით ფაქტები კოკაინზე დამოკიდებულების შესახებ, დიდი კრიტიკა დაიმსახურა. იგი კოკაინს ყნოსავდა 1890-იან წლების ბოლომდე — ცხვირში გასახსნელად, დეპრესიის წინააღმდეგ აბრძოლველად, უბრალოდ იმისთვის, რომ “ჰქონოდა პირის გაღების უნარი”, როგორც იმ საღამოს შარკოს ვილაში.

შარკოს არაჩვეულებრივ ლექციებს უფრო მართებული იქნება სპექტაკლებს თუ ვუწოდებთ. იგი ისტერიით დაავადებულ პაციენტებს ჰგვრიდა ჰიპნოზურ ძილს, ხოლო შემდეგ შთაგონებისა და კუნთების გარკვეულ უბნებზე ზემოქმედების გზით იწვევდა სიმპტომების ქაოტურ აღრევას. ზოგიერთ ქალ პაციენტში ადგილი ჰქონდა რიგიდულ კატალეფსიას: ისინი შეშდებოდნენ, სრულებით არაფერზე არ რეაგირებდნენ, ნემსის ჩხვლეტაზეც კი. სხვები არაბუნებრივად ატრიალებდნენ ხელებსა და ფეხებს, ყვიროდნენ, ოხრავდნენ და ღებულობდნენ ორაზროვან “ვნებიან პოზებს”, როგორც უწოდა შარკომ. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ისტერიული შეტევებიდან, რომლის მოწმეც იყო ხოლმე ფროიდი, ზოგიერთი მთავრდებოდა ორგაზმით.

ფროიდი ძალზე გაიტაცა შარკოს იდეებმა. “ჩემი ტვინი”, — წერდა ის მარტას, — “სავსეა ისე, როგორც თეატრში გატარებული საღამოს შემდეგ”.

ანტიკურ პერიოდში ისტერიას მიიჩნევდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქალის დაავადებად, რომელიც გამოწვეული იყო სისხლის მიმოქცევის დარღვევით საშვილოსნოში (ბერძნულად ჰყსტერა). მე-19 საუკუნეში თანდათანობით მიხვდნენ, რომ საქმე ნერვულ დარღვევაში, ნერვოზშია. დღესდღეისობით ექიმები ამჯობინებენ ისაუბრონ არა ისტერიაზე, არამედ კონვერსიულ დარღვევებზე. მათ მიაკუთვნებენ, მაგალითად, პარალიჩს, რომლის ახსნაც არ შეიძლება ნერვული დაავადებებით. ეს შემთხვევები დაკავშირებულია სტრესთან, რომელიც გავლენას ახდენს ტვინის ლიმბურ სისტემაზე.

შარკომ ერთ-ერთმა პირველმა გამოავლინა ისტერია მამაკაცებში. მისი აზრით, იგი განპირობებულია ტვინში ფუნქციონალური ცვლილებებით, რომლებიც ხდება ფსიქიკური ტრავმის შემდეგ — მაგალითად, რკინიგზაზე მომხდარი ავარია, საყვარელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული სტრესი და ა.შ. შარკო მიიჩნევდა, რომ დაავადების მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური დაზიანება, ანუ აფექტები.

ჰიპნოზი იწვევს და შემდეგ აქრობს კატალეფსიას ისტერიულ ქალებში? შარკო ასეთ დასკვნას აკეთებს: ტვინს და სხეულს მართავენ ფსიქიკური ხატები და იდეები. მონდომებით სწავლობდა რა თევზებისა და კიბოების ფიზიოლოგიას, ფროიდი გაოცებული აღნიშნავს: “ისტერია ისე მიმდინარეობს, თითქოს არანაირი ტვინის ანატომია არ არსებობდეს.”

ვენა. 1887 წლის 28 დეკემბერი. ფროიდი წერს ბერლინში ექიმ-ოთოლარინგოლოგს ვილჰელმ ფრისს — ერთადერთ ადამიანს, რომელსაც იგი ყველაფერს უყვებოდა, ხანდახან პოტენციასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც კი ჩიოდა მასთან. ფლისი დიდხანს იყო მისი ალტერ ეგო. ხოლო შემდეგ მტერი გახდა. ფრისისთვის მიწერილი თითქმის სამასი წერილიდან, მეორეში ფროიდი წერს: “მე გამიტაცა ჰიპნოზმა და მივაღწიე მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებებს”; ეს იყო ექსპერიმენტების პერიოდი. პარიზიდან დაბრუნებულმა ფროიდმა კერძო პრაქტიკა დაიწყო, ფლობდა მკურნალობის საკმაოდ ვიწრო რეპერტუარს — მასაჟი, ელექტროთერაპია, ჰიპნოზი. იგი ჰიპნოზის სეანსებს უტარებდა ვენაში ცნობილ ადამიანებს — ბარონესა ფონ ლიბენს (ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში შევიდა, როგორც “ქალბატონი სესილია მ.”), მდიდარ ქვრივს ფანი მოზერს (“ემმი ფონ ნ.”). თუმცა ჰიპნოზი არ არის მხოლოდ მკურნალობის მეთოდი — ეს იყო სარკმელი, რომლითაც ფროიდი სწვდებოდა ფსიქე-ს საიდუმლოებით მოცულ სფეროებს. მის პაციენტებს მეხსირების სიღრმეებიდან ამოჰქონდათ განცდები, რომელთა გახსენებაც არ შეეძლოთ ფხიზელ

მდგომარეობაში.

ისტერიის გამოვლინებები, რომლებსაც აკვირდებოდა ფროიდი — კატალეფსია, აუხსნელი ტკივილები, უეცარი ჩავარდნები მეხსიერებაში — ელოდნენ ახსნა-განმარტებას. რატომაც არ შეიძლებოდა ისინი ახსნილიყო არაცნობიერით? “მეცნიერებამ უფრო მეტი იცის, ვიდრე ცნობიერება ფაქტიურად განიცდის. საჭიროა განცდილში დავინახოთ კვალი იმისა, რაც “ხდება და მოძრაობს” ფარდის უკან”. ეს დაწერა ჯერ კიდევ იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტმა — მე-19 საუკუნის დასაწყისის ფსიქოლოგმა.

არაცნობიერზე, სულის საიდუმლო ცხოვრებაზე ფროიდამდე გაცილებით ადრეც ლაპარაკობდნენ. 1869 წელს ფილოსოფოსმა ედუარდ ფონ გარტმანმა გამოაქვეყნა "არაცნობიერის ფილოსოფია", რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდა. ფსიქოლოგი გუსტავ ფეხნერი საუბრობდა “არაცნობიერ შეგრძნებებზე”. ფროიდს არ აღმოუჩენია არაცნობიერი — მან ამ სიტყვას ახალი მნიშვნელობა მიანიჭა. საფუძველი იყო ფსიქიკური ტრავმის თეორია. ფროიდმა გაამწვავა შარკოს იდეები ემოციონალურ შოკზე. თავის მეგობართან იოსეფ ბრეიერთან ერთად მან წამოაყენა შემდეგი ჰიპოთეზა: ისტერიის სიმპტომები — ეს არის შედეგი ცნობიერებაში ვერ დატეული აფექტებისა: შეშინების, შიშის, სირცხვილის. როგორც, მაგალითად, “ანნა ო.”-ს შემთხვევაში, რომლის ავადმყოფობის ისტორიაც გახდა ფსიქოანალიზის კლასიკა. ანნა, რომელიც ბრეიერთან მკურნალობდა, რეგულარულად ვარდებოდა ავტოჰიპნოტურ ტრანსში და მისი მარჯვენა ხელი პარალიზებული ხდებოდა. მას სავსებით ავიწყდებოდა მშობლიური ენა და მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობდა.

როდესაც ბრეიერმა ანნა ჰიპნოზურ ძილში გადაიყვანა, ქალმა გაიხსენა, თუ რითი დაიწყო მისი ავადმყოფობა. გოგონას ჩაეძინა მძიმედ ავადმყოფი მამის სასთუმალთან. და უცბად შეშინებული წამოხტა — მას მოეჩვენა, რომ კედელზე მიცოცავს შავი გველი. ანნა მის გაგდებას ცდილობდა, მაგრამ დამბლადაცემული ხელი უსუსურად ჩამოეკიდა. იგი ცდილობდა ლოცვა წაეკითხა, მაგრამ ერთადერთი, რისი წალუღლუღებაც მან შეძლო, იყო ინგლისური საბავშვო ლექსი. უყვებოდა რა ამ ყველაფერს ბრეიერს, ანნა ისევ გადავიდა ტრავმულ განცდებში. და მოხდა საოცარი რამ: მისი ხელი “გამოცოცხლდა”, და ანნა ისევ ალაპარაკდა გერმანულ ენაზე!

ფროიდმა და ბრეიერმა მსგავსი შემთხვევების ძებნა დაიწყეს და იპოვნეს კიდეც. მაგალითად, ეპილეფსიით დაავადებული გოგონას პირველი შეტევა დაუკავშირდა შიშს, რომელიც მან განიცადა, როდესაც უპატრონო ძაღლი გამოეკიდა. ხოლო ერთ პაციენტს ქრონიკული ტკივილები დაეწყო მენჯ-ბარძაყის სახსარში, როდესაც დაინახა, თუ როგორ დატკაცუნებით გაუსწორეს მის ძმას სახსარი. ყველა შემთხვევა ერთი შაბლონის მიხედვით იხსნებოდა: დაავადება პროვოცირებული იყო შოკით, რომელიც გაირიყა ცნობიერებიდან.

1892 წლის ბოლოს ფროიდმა ფლისს შეატყობინა, რომ ისტერიის თეორია მზად იყო. მალე გამოქვეყნდა ფროიდის და ბრეიერის ერთობლივი ნაშრომი “ისტერიის ფსიქიკური მექანიზმების შესახებ. შესავალი გამოცემა.” მასში გაჟღერებული იყო ფსიქოანალიზის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი: “ისტერიით დაავადებული ადამიანი მეტწილად იტანჯება განდევნილი მოგონებებისგან”. ასეთი მოგონებები — ეს არის დაბრუნება წარსულის, რომელიც არასოდეს არ იკარგება. ფროიდმა აღმოაჩინა თავისი მეცნიერული მუშაობის თემა.

მისი მისაღების კაბინეტი ვენაში (ბერგჰასსე 19) მოგონებების შესწავლის ნამდვილი ლაბორატორია ხდება. ამ სახლში ფროიდი გადავიდა 1891 წელს. ხოლო დატოვა იგი მხოლოდ 47 წლის შემდეგ, 1938 წელს, როდესაც ფაშისტების დევნას გაექცა ლონდონში. ბინა, რომელშიც ცხოვრობდა დიდი ოჯახი (1895 წლამდე დაიბადნენ ვაჟიშვილები ჟან მარტინი, ოლივერი, ერნსტი, ქალიშვილები: მატილდა, სოფი და ანნა), განლაგებულია სახლის მეორე სართულზე. კაბინეტი, რომელშიც ფროიდი პაციენტებს იღებდა, ზუსტად მის ქვევით იყო, ხოლო მოგვანებით მეზობელ ბინაში იმავე სართულზე. ეს 40 კვ. მეტრზე დატეული ფართი იყო “ფროიდის სამყარო”: კარით გაყოფილი მისაღები თავისი ცნობილი ტახტით და კაბინეტი. აქ ფროიდი ინახავდა თავის მზარდ კოლექციას — ასობით ანტიკურ ქანდაკებას. სიგარა და ანტიკვარიატი — ეს მისი გატაცებები იყო. არქეოლოგია მისი ჰობი იყო და, შესაძლოა, მეცნიერების იდეალიც კი. იგი საუბრობდა ფენებზე, რომელთა გახსნაც უნდა მოხდეს, რათა მივაღწიოთ “სულის სიღრმეში დამალულ ყველაზე დიდ საგანძურს.” ფსიქოანალიტიკოსი — სულის არქეოლოგია. აღმოეჩინა და განემარტა — აი, რას მიიჩნევდა ფროიდი თავის რეალურ სამუშაოდ.

ბერგჰასეზე მას უკვე ჰქონდა მნიშვნელოვანი სამუშაო ინსტრუმენტი — ტახტი. ეს იყო ერთი მადლიერი პაციენტის საჩუქარი. მოგვიანებით ნეირობიოლოგების გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ მდგომარეობა, პოზა, რომელშიც იმყოფება ჩვენი სხეული მოცემულ მომენტში, მართლაც ახდენს გავლენას ჩვენს გონებრივ პროცესებზე. თუ პაციენტი გამუდმებით ხედავს მის წინ მჯდარი ანალიტიკოსის მიმიკას, აღმოცენდება უკუკავშირი, რომელიც გავლენას ახდენს აზროვნებაზე. წოლითი მდგომარეობა ანთავისუფლებს ჩვენს შინაგან მზერას, ასუსტებს ლოგიკურ კავშირებს. ეს მოდუნებულობა ფროიდმა პრინციპად აქცია შეიმუშავა რა თავისუფალი ასოციაციების ტექნიკა. ყველა პაციენტი არ ემორჩილებოდა ჰიპნოზს. ამ შემთხვევაში იგი მათ აწვენდა ტახტზე და სთხოვდა მოეყოლათ მისთვის ყველაფერი, რაც თავში მოუვიდოდათ ისე, რომ არ ეკონტროლირებინათ თავიანთი ფანტაზიები. მაგრამ ფანტაზიები,რომლებიც მიუთითებენ განდევნილ განცდებზე, ხშირად იწვევენ ჩვენში მძაფრ ემოციონალურ წინააღმდეგობას. ფროიდს არაერთი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ დაეხვეწა თავისი მეთოდი და აგრესიული “ექიმი-მკვლევარის” ნაცვლად გამხდარიყო მსმენელი, რომელიც ხსნის, აანალიზებს პაციენტისგან მომავალ აზრთა ნაკადს და მათ თანმდევ ემოციებს. ასოციაციების ნაწყვეტებისგან იგი აღადგენდა დაფარულ მოგონებებს, რომლებიც თავად მთხრობელებს თითქოს უკვე დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდათ. ფროიდი წარსულში მოგზაურობდა — თავისი პაციენტების ბავშვობაში. და იქ მან აღმოაჩინა თემა, რომელიც მისი კვლევის განუყოფელი ნაწილი გახდა — ბავშვური სექსუალობა.

"ძვირფასო ვილჰელმ! (წერს 1895 წლის 15 ოქტომბერს ფროიდი ფლისს) უკვე გაგიმხილე დიდი კლინიკური საიდუმლო? ისტერია — ეს არის შედეგი პრესექსუალურ პერიოდში გადატანილი შიშისა. ნევროზი გამოწვეული განმეორებადი მდგომარეობებით — ეს არის შედეგი პრესექსუალურ ასაკში მიღებული საქსუალური სიამოვნებისა. “პრესექსუალური” — ეს უფრო ზუსტად რომ ვთქვათ არის პრეპუბერტეტული პერიოდი. მეორე დღეს ფროიდი ამატებს: "ინფანტილური სექსუალური შიშები და სურვილები აი, ისტერიის და ნერვოზების საიდუმლოს ამოხსნის გზა. ახლა მე დარწმუნებული ვარ: ეს დაავადებები სავსებით განკურნებადნი არიან. მე რაღაც ჩუმი სიხარულის მაგვარს განვიცდი ფუჭად არ მიცხოვრია თითქმის 40 წელი."

ამ თეორიამ, რომელიც დაკავშირებულია ბავშვობის ასაკში სექსულურ ქმედებებთან,ფროიდს პირველი გასაღები მისცა ნერვოზების ამოსახსნელად.

მისი თეორია საოცრად შეესაბამებოდა ეპოქის სულისკვეთებას. იმ დროინდელი ვენა — ეს იყო ეროტიზმის მდიდრული გაფურჩქვნის ხანა. იმპერიის დედაქალაქში 40 000-მდე მეძავი იყო, ევროპის არცერთ ქალაქში არ იბეჭდებოდა ამდენი პორნოგრაფიული სურათები. თუმცა სექსუალური თავისუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ მამაკაცებზე. გოგონები არისტროკრატიული ოჯახებიდან უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც ანგელოზები. მიუხედავად ამისა, ქალურ სექსუალობაზე — ვენელი ექიმისა და მწერალის არტურ შნიცლერის მოთხრობების საყვარელ თემაზე — საუბრობდნენ ყველა ვიწრო წრეში.

"ყველაფერი ამოძრავდა, სექსულური ისტორიები იზიდავს ხალხს", წერდა ფროიდი 1893 წლის ბოლოს. იგი, ისევე, როგორც იმ ეპოქის ბევრი ექიმი, დარწმუნებული იყო, რომ მასტურბაციამ და ცოიტუს ინტერრუპტუს (შეწყვეტილმა სქესობრივმა აქტმა) შესაძლოა გამოიწვიონ ნევროზის განვითარება. ექიმი ფროიდი, რომლის მისაღებშიც საუბრობდნენ სექსზე, მოდური ექიმი ხდება. განსაკუთრებით მოდური იმიტომ, რომ სულ უფრო და უფრო უახლოვდება ბავშვური სექსუალობის თემას — თემას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკრძალულად ითვლებოდა და საზოგადოება უყურებდა, როგორც საშიშს.

1895 წლის ბოლოს ცნობილ საშობაო ზღაპარში ხელნაწერი, რომელიც საახალწლო მილოცვასთან ერთად გაუგზავნა ფლისს, ფროიდი აყალიბებს რამდენიმე მნიშვნელოვან იდეას. იგი წერს, რომ ნევროზები შეიძლება გამოიწვიონ ცნობიერებისგან “გაქცეულმა” აფექტებმა (კონფლიქტი, ცილისწამება, შეურაცხყოფა, გლოვა.) შორეულ ბავშვობაში საქსუალური ბუნების მატრამვირებელი განცდების შედეგები. აკვიატებული ქმედებების ნერვოზებს ფროიდი ხსნის ასე: პაციენტის ბავშვობაში იყო რაიმე ტიპის სექსუალური განცდა ძალზე მტკივნეული ჩამოუყალიბებელი ცნობიერებისთვის და ამიტომ იგი განიდევნა არაცნობიერში, “დავიწყებას მიეცა”. ბავშვი დიდ ხანია გაიზარდა, მაგრამ დანაშაულის ამოუცნობი განცდა, სინდის ქენჯვნის მტკივნეული გრძნობა და მზადყოფნა “დაისაჯოს” (გაუგებარია რისთვის) უბიძგებს მას აკვიატებული ქმედებებისკენ. ჩემს

ბავშვობაში იყო რაღაც “ცუდი”, რის გამოც მე ახლა სინდისის ქენჯვნა მაწუხებს. შესაბამისად უკეთესი არ იქნება ჩემთვის ახალი დანაშაულისგან გაქცევის მიზნით, განვიცდიდე სინდისის ქენჯვნას? ნევროტული საქციელი — ეს არის ციხე-სიმაგრე, რომელსაც აგებს ფსიქე, რათა თავი დაიცვას წარსულისგან, რომელიც მას ემუქრება. “საშობაო ზღაპარში” აღწერილია [[არაცნობიერი|არაცნობიერის ახალი სახე — ეს არის უსასრულო ბრძოლის ველი, სადაც ერთმანეთს ებრძვიან სხვადასხვა ძალები. შემთხვევითი არ არის ის, რომ ფროიდი იყენებს საბრძოლო ტერმინებს: დაცვა, განდევნა, გამოღვიძებული მე.

მაგრამ ვინ ვის იცავს? ვინ რას განდევნის? საბოლოდ ვინ იმარჯვებს? ვინ არიან ეს მსახიობები ჩვენი ბიოგრაფიის სცენაზე? მოგვიანებით ფროიდი მათ სახელებს დაარქმევს: "იდი", "ეგო", "სუპერ-ეგო". მისი აზრით, შეუძლებელია აიხსნას პიროვნების დამანგრეველი ნევროტული კონფლიქტები, თუ დავუშვებთ იმას, რომ პიროვნება — ეს ერთი მთლიანობაა. და ფროიდი ყოფს მას შემადგენელ ნაწილებად. თითოეული მათგანი საკუთარ როლს თამაშობს და საკუთარ ინტერესებს ემსახურება. "იდი" — ეს არის ვნებების, ინსტინქტების და გატაცებების სამფლობელო. “სუპერ-ეგო” — მორალის ინსტანციაა, რომელიც ძირითადად აღმოცენდება მამის ავტორიტეტთან შეჯახების შედეგად. გონებით დაჯილდოვებული “ეგო” შუამავლის როლს ასრულებს სურვილებსა და რეალობას, შინაგან და გარეგან სამყაროს, “იდი”-სა “სუპერ-ეგო”-ს შორის. ამიტომ “ეგო” ყოველთვის “ერთდროულად ორ სკამზე ზის”. მან უნდა გაუძლოს შეურაცხყოფებს და დაიცვას თავისი “მატარებელი” კონფლიქტებისგან — დაიცვას ნერვოზების ფასად. აქ ჩვენ ვაწყდებით ვენელი მეცნიერის ღრმა დარწმუნებულობას — ადამიანი დაუსრულებლად მოწყვლადია. ფროიდმა მთლიანად განიცადა ეს ფაქტი საკუთარ თავზე, როდესაც 1896 წელს (სწორედ ამ წელს მან პირველად იხმარა ცნება “ფსიქოანალიზი”) ვენელი ფსიქიატრების წინაშე კითხულობდა ნაშრომს ბავშვობის სექსუალურ განცდებზე. გაბრაზებულ მდგომარეობაში მყოფი, იგი ფლისს წერს: "ჩემმა ნაშრომმა იმ ვირებისგან მიიღო მეცნიერული ზღაპრის შეფასება, და ეს მას შემდეგ, რაც მათ უჩვენეს გადაწყვეტა პრობლემისა, რომელზეც ათასობით წლის განმავლობაში ფიქრობდნენ ადამიანები!" გააფთრებული ფროიდი მოურიდებლად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას: “ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ!”

მან კოლეგებს წარუდგინა დამუშავებული, შეიძლება ითქვას, საგულდაგულოდ “დაღეჭილი” თეორია, მაგრამ მათ ის ვერ გაიგეს! ფროიდის გაბრაზება კი ძალზე ადვილია: იგი ღიზიანდება, როდესაც ესმის სულ მცირე მინიშნებაც კი, რომ მისი არ ესმით ან აკრიტიკებენ. მეცნიერის კავშირი, ურთიერთობა სამყაროსთან არასოდეს არ იყო მარტივი, ხოლო მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი სავსე იყო წინააღმდეგობებით:"ჩემთვის ყოველთვის აუცილებელი იყო ახლო მეგობარი და მოსისხლე მტერი", აღიარებდა ფროიდი. ხშირად ეს ორი ცნება ერთიანდებოდა ერთ ადამიანში. ვილჰელმ ფლისთან ფროიდის მეგობრობა გაურკვეველი მიზეზების გამო სამუდამოდ დასრულდა 1900-იანი წლების დასაწყისისთვის. მაშინ, როდესაც ფსიქოანალიზი მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, ფროიდის “მემკვიდრე პრინცი” იყო შვეიცარიელი ფსიქოლოგი კარლ გუსტავ იუნგი — და სწორედ ის გახდა მოგვიანებით მისი უდიდესი მტერი. 1912 წელს, იუნგთან მტკივნეული დაშორების შემდეგ, ფროიდის მეორე ნდობით აღჭურვილმა პირმა, ბრიტანელმა ფსიქოლოგმა ერნსტ ჯონსმა შესთავაზა მას, შეექმნათ ფსიქოანალიზის ერთგული მიმდევრების კომიტეტი. ნებისმიერი შემოთავაზება “ძირითადი იდეების” ჩარჩოებისგან გამოსვლისა უნდა განხილულიყო კომიტეტის წევრების ვიწრო წრეში მკაცრი გასაიდუმლოებულობის დაცვით, რათა გამორიცხულიყო მოძრაობის შიგნით განხეთქილების გაჩენის საფრთხე. ფროიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ იდეას. ხუთი ადამიანი, რომლებმაც თავდაპირველად შექმნეს ფროიდის “გვარდია”, მრავალი წლის განმავლობაში რჩებოდა თანამოაზრეების ერთიან გუნდად. (კრიტიკოსები კი ფსიქოანალიტიკურ მიმდინარეობას მოიხსენიებდნენ, როგორც სექტას).

ამასთან ფროიდი ყოველთვის მზად იყო აბსოლუტურად შეეცვალა საკუთარი იდეები. იგი აშკარად არ განიხილავდა თავის თეორიას, როგორც დასრულებულ ნაგებობას. ის ვითარდებოდა ისე, თითქოს თავდაპირველად მან ააშენა სახლი, შემდეგ მიამატა ავტოსადგომი, დააშენა კიდევ ერთი სართული, კედელში გაჭრა ფანჯრები… ფროიდის იდეები ძალიან ხშირად შეიძლება ორგვარად გავიგოთ. თითქოს ფროიდი სულ თავიდან და თავიდან იგონებს ფსიქოანალიზს. 1896-1897 წლებში, მაგალითად, იგი უარს აცხადებს ნევროზის ცნებაზე, როგორც ბავშვობაში გარყვნილების შედეგზე. და საუბრობს ოიდიპოსის კომპლექსზე. როგორც ჩანს, ნერვოზების განვითარების თეორიაში ახალი ფაზის დაწყება ემთხვევა ფროიდის მამის გარდაცვალებას 1896

წლის ოქტომბერში. გადაიტანა რა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დანაკარგი მამაკაცის ცხოვრებაში, ფროიდი სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღებით აანალიზებს საკუთარ სიზმრებს. ფიქრობს რა მამაზე, იგი უღრმავდება თავის ბავშვობას.

ფლისისადმი მიწერილ წერილებში ჭეშმარიტად ველური ისტორიებია. ფროიდის პაციენტები მოშხამულნი არიან ბავშვობაში გარყვნილი მოზრდილების მიერ. "სამწუხაროდ, მამაჩემი ერთ-ერთი ამ გარყვნილთაგანი იყო და დამნაშავეა იმაში, რომ ისტერიით დაავადდნენ ჩემი ძმა და უმცროსი დები", წერს ფროიდი თავის მეგობარს ბერლინში. და მაინც, ის ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული თავის სიმართლეში. რა თქმა უნდა, ყველა ამ კეთილსინდისიერ ბატონებს სოლიდურ ტანისამოსში, ფროიდი სავსებით რეალურ სექსუალურ მოძალადეებად თვლის, მაგრამ "სიხშირე, რომლითაც გვხვდება ნერვოზები, მაიძულებს ამაში ეჭვი შევიტანო." 1897 წლის მაისში იგი წერს: "ჩემში ყველაფერი მოძრაობს და დუღს; არის ბუნდოვანი მოლოდინი იმისა, რომ მალე რაღაც მოხდება."

და ბოლოს, 1897 წლის 21 სექტემბრის ცნობილი წერილი. იტალიიდან დაბრუნებული ფროიდი ფლისს სწერს: "მე ისევ აქ ვარ, დასვენებული, მხიარული, უფულო და ჯერჯერობით უსაქმური. და მინდა ახლავე მოგიყვე საიდუმლოზე, რომელიც ბოლო დროს ხშირად მაფიქრებს. მე აღარ მჯერა ნევროზის ჩემეული გაგების." ფროიდი კიდევ ერთხელ ჩამოთვლის ყველაფერ იმას, რაც მას აფიქრებს და აწუხებს. პირველ რიგში, სექსულური ბოროტად მოპყრობის ჰიპოტეზა არც ერთხელ არ დაეხმარა მას რეალურად ბოლომდე მიეყვანა ანალიზი. მეორე, ისტერიის გავრცელებულობიდან გამომდინარე ძალიან ბევრი ადამიანი უნდა ყოფილიყო გარყვნილი მოზრდილების მსხვერპლი. მესამე, როდესაც ავადმყოფი ტახტზე წვება და მოგონებებში გადადის, ყოველთვის გასაგები არ არის, საქმე გვაქვს მოგონილ ისტორიასთან, თუ რეალურ ბიოგრაფიულ ფაქტთან. ნახევარი წლის წინ ფროიდი აღშფოთებული იყო, როდესაც ვენელმა კოლეგებმა მის იდეას "მეცნიერული ზღაპარი" უწოდეს, იმას, რომ ნევროზი ყოველთვის შეიძლება აიხსნას ბავშვობაში გადატანილი გარყვნილებებით. ახლა ფროიდი თვითონ უარყოფს თავის თეორიას... თუმცა უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ იგი კი არ უარყოფს, არამედ ცვლილებები შეაქვს მასში. დავუშვათ, რეალურ გარყვნილებას არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ნერვოზები გამოიწვიოს ამ თემასთან დაკავშირებულმა ფანტაზიებმა? განა შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ არაცნობიერის ძალაზე? აანალიზებს რა თავის სიზმრებს, ფროიდი უღრმავდება ბავშვობის წლებს. საკუთარი მამის ფიგურას ის ახლა სრულებით სხვანაირად ხედავს. (""იდი" არანაირ აქტიურ როლს არ თამაშობდა.) და უცებ ის აღმოაჩენს, რომ წარსულში თავისი უმცროსი ძმის სიკვდილი უნდოდა. რაც მთავარია, მასში ისევ ამოხეთქავს დედის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული, აღფრთოვანება, რომელიც განიცადა, როდესაც შემთხვევით დაინახა იგი შიშველი.

ოქტომბერში იგი წერს ფლისს: "მე საკუთარ თავში აღმოვაჩინე დედის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული და ეჭვიანობის გრძნობა მამისადმი და ამას მივიჩნევ მოვლენად, რომელიც მოიცავდა მთელ ჩემს ბავშვობას. თუ ეს ასეა, გასაგები ხდება მეფე ოიდიპოსის მომაჯადოვებელი ძალა. ყველა იყო როდესღაც თავის ბავშვურ ფანტაზიებში ასეთი ოიდიპოსი და შემდეგ ამ ფიქრების მიერ მოგვრილმა შიშმა გამოიწვია მათი განდევნა, დათრგუნვა."

ფროიდის აზრი გასაგებია: უმეტეს შემთხვევებში შეუძლებელია სექსულური ურთიერთობების არსებობის ფაქტის დადასტურება მშობლებსა და შვილებს შორის. ისინი უბრალოდ არც კი იყო. მაგრამ სურვილები და ფანტაზიები, სიყვარულის, შიშისა და სასოწარკვეთილების განცდები უკვე არის ბავშვში. და მათ საფუძველზე წარმოშობილმა კონფლიქტებმა შეიძლება მთელი მისი ცხოვრება განსაზღვრონ. ანტიკური პერიოდის დამფასებელი მითი ოიდიპოსზე, რომელიც გაუცნობიერებლად კლავს მამას და ცოლად მოყავს საკუთრი დედა, თითქმის დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ სექსუალური ფანტაზიები არ არის უბრალო გამონაგონი. ოიდიპოსი არის პირველადი მატარებელი ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელი ფანტაზიისა და მის მიღმა იმალება საბედისწერო მნიშვნელობის მქონე ძალები... ეს ძალები არის მოთხოვნილებები. ფროიდი მთელი ცხოვრების მანძილზე ლაპარაკობდა სექსუალურ მოთხოვნილებებზე, თვითგადარჩენის მოთხოვნილებაზე, სიკვდილისკენ სწრაფვაზე (მისი თეორიის ყველაზე საკამათო ნაწილი). მოთხოვნილებები — ეს არის ხიდი სხეულსა და სულს შორის. მოთხოვნილება მოიხსნას სექსუალური დაძაბულობა ჩვენს "იდი"-ში იწვევს დაუოკებელ სურვილებს. ამიტომაც ბავშვს, რომელსაც უყვარს და ეჭვიანობს, შეუძლია ასეთი

ძლიერი ფანტაზიორობა. ფროიდმა აღიარა მწარე სიმართლე მოთხოვნილებების სამყაროს შესახებ. ფლისის მიმართ მიწერილ წერილებში იგი საუბრობს ადამიანის შინაგან რეალობაზე და გარე რეალობაზე, და მათ შორის მყოფ "ეგოზე", რომელსაც უწევს ურთიერთობების მოგვარება ორივე მხარესთან. თანამედროვე ინდივიდის უფრო მეტად ტრაგიკული ხატი ახალი ფსიქოლოგიური ადამიანისა ფროიდს არც კი შეეძლო, რომ შეექმნა.

ფროიდი განსაკუთრებით არ ურთულებდა ცხოვრებას თავის ოპონენტებს. დაავადებების სუბიექტური ანალიზი, მითოლოგიური ენის სიყვარული, მისი მაპროვოცირებელი განზოგადებები... ფსიქოანალიზური თეორია თავიდანვე ძალზე ადვილად მოწყვლადად გამოიყურებოდა და მოწინააღმდეგეებმაც არ დააყოვნეს გამოჩენა. ჯერ კიდევ 1910 წელს, ლაპარაკობდა რა ბავშვური სექსუალობის თეორიაზე, პროფესორი ვილჰელმ ვეიგანდტი მაგიდაზე მუშტს ურტყამდა და ყვიროდა: ეს პოლიციაში განსახილველი თემაა!" მაგრამ არა მხოლოდ პატივსაცემი მეცნიერები აკრიტიკებდნენ ფროიდის თეორიას. მან, მაგალითად, ძალზე გაანაწყენა ბევრი ქალი, აქცია რა დროთა განმავლობაში ოიდიპოსის სიმბოლური ფიგურა ფორმულად, რომელიც ლამის პირდაპირ ანატომიიდან გამოყავდა: ოიდიპოსის კომპლექსი — ეს არის მოვლენა, როდესაც მეამბოხე შვილი აღსდგება მამის წინააღმდეგ, მაგრამ იძულებულია შეეგუოს მის ავტორიტეტს იმ შიშის გამო, რომ მამა მას კასტრაციას გაუკეთებს. კიდევ უფრო უარესია გოგონას შემთხვევაში. კასტრაციის საფრთხე მის წინაშე არ დგას, მაგრამ, განიცდის რა დამცირებას, მას უვითარდება შური ძმის ფალოსის მიმართ. "ანატომია — ბედისწერაა", — განაცხადა ერთხელ ფროიდმა. ფემინისტი ქეით მილლეტი წერდა: "ფროიდიზმი ყოველ ეჭვს გარეშე იყო ყველაზე ძლიერი კონტრრევოლუციური ძალა, რომელსაც შეეჯახა ქალების სექსუალური განთავისუფლებისკენ მიმართული მოძრაობა." რა თქმა უნდა, ყველა ფემინისტს ასე მკაცრად არ შეუფასებია "კონტრრევოლუციონისტი", მაგრამ ფროიდის დამოკიდებულება ქალების მიმართ ნამდვილად პარადოქსული იყო. მრავალი წლის განმავლობაში მის გარშემო იყვნენ მშვენიერი ჭკვიანი თანამედროვე ქალები, მაგალითად, ლუ ანდრეას-სალომე, რუსული წარმომავლობის მწერალი, ბევრი გენიალური ადამიანის (ფილოსოფოს ნიცშედან დაწყებული პოეტ რილკეთი დამთავრებული) ახლო მეგობარი. მაგრამ ფროიდის შეხედულებები ქალზე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კონსერვატიული და პატრიარქალური იყო. მისთვის ქალი მხოლოდ "ახალგაზრდობის წლებში მომხიბვლელი სატრფო, ხოლო მოგვიანებით — საყვარელი ცოლია". ხოლო მისი სექსუალური ცხოვრება იყო და იქნება "ფსიქოლოგიის ბნელი კონტინენტი".

ფროიდის თეორიის კრიტიკა ნაწილობრივ გამართლებულია", — აღიარებს ლონდონის წამყვანი ფსიქოანალიტიკოსი პიტერ ფონეჯი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი თეორია დღემდე იზიდავს ყველას. იგი გვახსენებს, თუ რატომ ჩავდივართ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ისევ ჩვენ გვაყენებენ ზიანს. რატომ ვხვდებით ისევდაისევ ერთი და იგივე კონფლიქტებში. რატომ გამოვდივართ მშობლების წინააღმდეგ. საჭიროა თუ არა ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ოიდიპოსის კომპლექსი და მოთხოვნილებების თეორია — ეს უკვე სხვა საკითხია.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ფროიდის უმცროსმა ქალიშვილმა ანნამ და მისმა ლონდონელმა ოპონენტმა მელანი კლაინმა ფსიქოანალიზი მოზრდილების მკურნალობის მეთოდიდან აქციეს ბავშვების მკურნალობის მეთოდად. მათმა კამათებმა მძლავრი ბიძგი მისცეს ამ ახალი მიმართულების განვითარებას. ფსიქოანალიტიკური კვლევების ობიექტები გახდნენ ძუძუს ასაკის ბავშვები. ბავშვი აღარ ითვლებოდა (როგორც ეს ფროიდთან იყო) უპიროვნო არსებად, რომელსაც მართავს "იდი"-ს ძლიერი მოთხოვნილებები. ახლა იგი მიიჩნეოდა თანასწორუფლებიან მომქმედ პირად მამასთან და დედასთან ურთიერთობის სამკუთხედში. და პუბერტატული ასაკის მნიშვნელობა დღეს ფსიქოანალიტიკოსების მიერ სხვანაირად ფასდება, ვიდრე ეს ხდებოდა თავად ფროიდის დროს. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ფსიქოანალიზი უფრო გულახდილი გახდა და ნაკლებად დამოკიდებული ფროიდზე — სწორედ ამიტომაც იგი დღემდე "გამოყენებისთვის მისაღებად" ითვლება.

ტრავმების თანამედროვე თეორია - ეს ერთ-ერთი ხიდია, რომელიც აკავშირებს ფსიქოანალიზს და ნეირობიოლოგიას. ტრავმატული განცდები, რომლებიც იწვევს შიშის მომგვრელ მოგონებებს (ფლეშბექი), სავარაუდოდ იწვევს ჰიპოკამპის მუშაობის დარღვევას. სტრესის ჰორმონების ძლიერი და დიდი რაოდენობით გამოყოფა აზიანებს მოგონებების დასამუშავებლად საჭირო ნეირონულ სტრუქტურებს. მაგრამ ეს ხომ

ფროიდის მიერ აღწერილი წარსულის დაბრუნებაა, წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მოდელის სახით! თუმცა ტრავმებით ბავშვის განვითარების ყველა დარღვევა ვერ აიხსნება. კონკრეტულად რასთან აქვს საქმე ფსიქოანალიზს? რას წარმოადგენს მოგონების საგანი, როდესაც მივყვებით რა ფანტაზიების ჯაჭვს, ჩვენ ჩავდივართ არაცნობიერის უფსკრულში განდევნილ წარსულ გამოცდილებაში? ფროიდის პასუხი: ეს არის ბავშვური მოთხოვნილებების და ფანტაზიების გადაუჭრელი კონფლიქტები. ფრანგმა ფსიქოანალიტიკოსმა ჟაკ ლაკანმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა: არაცნობიერი — ეს არის არა უბრალოდ გადაულახავი გამოცდილებებით სავსე "ტომარა", რომელიც უნდა გაიხსნას და გაანალიზდეს ის, რაც შიგნითაა, როდესაც ფსიქოანალიტიკოსი და პაციენტი, საუბრობენ რა მასზე, ანიჭებენ მას შინაარსს, ცდილობენ მის ლოგიკურ ინტერპრეტაციას; არამედ — ეს არის რაღაც, რაც ინარჩუნებს ფორმას და სახეს. არაცნობიერის ანალიზი, ლაკანის მიხედვით, გარკვეულწილად ქმნის და ამასთანავე აღადგენს წარსულს, მაშასადამე არის წარსულის გახსენება მომავლიდან.

ფსიქოანალიზის არსი იმდენად ის კი არ არის, რომ შეაღწიოს სულის ტროაში. მისი აზრი მდგომარეობს შესაძლებლობაში შექმნას ერთგვარი სიმბოლური შინაგანი ისტორია, რომლის საშუალებითაც ნებისმიერს შეეძლება ამოხსნას თავისი თავი, როგორც ადამიანი.

ზიგმუნდ ფროიდი საკუთარი თავისთვის იქმნიდა ისტორიას. იგი "სიზმრების" შესახებ ფლისს წერდა: "ჩემთვის ამ წიგნს სუბიექტური მნიშვნელობაც აქვს, რომლის გაცნობიერებაც მხოლოდ მას შემდეგ მოვახერხე, რაც წიგნი დავასრულე. იგი აღმოჩნდა ჩემი საკუთარი თვითანალიზის ნაწილი, ჩემი რეაქცია მამის სიკვდილზე." ფროიდის ყველაზე ცნობილი წიგნი პაციენტების სიზმრების ჩანაწერებთან ერთად შეიცავს თავად ავტორის ბევრ სიზმარს. იგი გამოქვეყნდა 1899 წლის ბოლოს, თუმცა დათარიღებულია 1900 წლით.

რა არის სიზმარი? ფროიდი გვპასუხობს: "ეს არის განდევნილი სურვილების, მოთხოვნილებების შენიღბული ასრულება." ბავშვი სიზმარში ნახულობს, რომ დაკარგა საყვარელი სათამაშო დათუნია — აქედან თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, მაგალითად, რომ ბავშვს აქვს განდევნილი აგრესია და-ძმების მიმართ, რომლებიც მას ართმევენ დედის ძვირფას ყურადღებას. სიზმარი— ეს არის წერილი ჩვენი არაცნობიერისგან. სწორედ ამიტომაა, რომ სიზმრის შინაარსი ყოველთვის შენიღბულია. თუკი საიდუმლო სურვილები მასში შეუნიღბავ ფორმაში იქნებოდა წარმოდგენილი, მძინარე ადამიანს გაეღვიძებოდა და სიზმარიც ვეღარ შეასრულებდა თავის ფუნქციას. იმისთვის, რომ გავიგოთ მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა, საჭიროა მისი ანალიზი, რომელიც მოითხოვს თავისუფალი ასოციაციების ტექნიკის გამოყენებას. სიზმარი — ეს არის დაშიფრული ამბავი სულის საიდუმლო ცხოვრებაზე.

ერთხელ ბავშვობაში პატარა ზიგიმ მშობლების ოთახში მოშარდა. მამამ იგი გაკიცხა და თქვა, რომ ბიჭისგან არაფერი არ გამოვიდოდა. ეს ეპიზოდი მოგვიანებით გახდა მასალა სიზმრისთვის, რომელშიც ფროიდს, იმ დროისთვის უკვე ცნობილ მეცნიერს, უსუსური მამის წინ ეჭირა ხომალდი. ის სიზმარში იყო ოიდიპოსი, რომელიც შურს იძიებდა მამაზე. "ამ სიზმარში ყველაფერი მიდის მამის მიმართ პროტესტისკენ", — წერდა ფროიდი, — "მამა — ეს არის უფროსი, პირველი და უკანასკნელი ავტორიტეტი, რომლის ძალაუფლების ყოვლისმომცველობისგან წამოვიდა ყველა ტიპის სოციალური ძალაუფლება ისტორიის მანძილზე." ფსიქიკა პოლიტიკაზე ძლიერია. ოიდიპოსი იმპერატორ ფრანც იოსიფზე ძლიერია; მაგრამ პოლიტიკა ფროიდს უჩვენებს თავის ძალაუფლებას. ვენაში ძალაუფლების სათავეში მოვიდა ანტისემიტი მერი ლუგერი. ჩვეული ცხოვრების სტილი განადგურების რისკის ქვეშ იყო. სიტუაციაში, რომელშიც შეუძლებელია ცხოვრების პირობების შეცვლა, ფროიდმა თავის თანამედროვეებს უჩვენა გამოსავალი — წასვლა შინაგან სამყაროში.

1900 წლის 1 თებერვალს ფროიდი წერდა: "მე არ ვარ მეცნიერი, არ ვარ დამკვირვებელი, არ ვარ ექსპერიმენტატორი და არ ვარ მოაზროვნე. მე ვარ ადამიანი კონკისტადორის ტემპერამენტით, ავანტურისტის ცნობისმოყვარეობით, მისი ცივსისხლიანობით და დაჟინებულობით." ეს კონკისტადორ-დამპყრობელი ცხოვრებაში კეთილსინდისიერი ჯენტლმენი იყო, ხოლო არაცნობიერის სამყაროში — ტუსაღი და ტანჯული. 1933 წელს, როდესაც ძალაუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდა, ფროიდის ერთერთ ცნობილ გამონათქვამში დამპყრობელის ხმა ისმის: "იქ, სადაც იყო "იდი", უნდა მოვიდეს "ეგო"". თითქოს შესაძლებელია სულში დამსხვრეული სამყაროს დაწებება.

სიცოცხლის ბოლო წლებში ფროიდმა ხახის კიბოს გამო 33 ოპერაცია გადაიტანა. 1939 წლის სექტემბერში იმისთვის, რომ გაქცეოდა ტკივილებს, მან თავის ექიმს სთხოვა მორფის სასიკვდილო დოზა მიეწოდებინა. იგი არ დანებდა. მისი სიცოცხლის ბოლოს იდგა მისი ყველაზე უპირველესი სურვილი: "ეგო"-მ უნდა გაიმარჯვოს.

## ზიგმუნდ ფროიდის ცხოვრება (ქრონოლოგია)

- 1856 წლის 6 მაისი — პატარა ქალაქ ფრეიბერგში (მორავია) დაიბადა სიგიზმუნდ შლომო ფროიდი.
- 1859 — ფროიდების ოჯახი საცხოვრებლად გადადის ლაიფციგში.
- 1860 — ფროიდების ოჯახი საცხოვრებლად გადადის ვენაში.
- 1865 — ფროიდი სასწავლებლად შედის გიმნაზიაში, რომელიც მდებარეობს ვენურ კვარტალში ლეოპოლდშტადტი.
- 1873 — გიმნაზიის გამოსაშვებ კლასში ფროიდი კითხულობს გეტეს თხზულებას „ბუნების შესახებ“ და სოფოკლეს ტრაგედიას „მეფე ოიდიპოსი“. იგი იღებს გადაწყვეტილებას, შეისწავლოს მედიცინა ვენის უნივერსიტეტში.
- 1877 — ფროიდის პირველი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნება — „გველთევზების სასქესო ორგანოების შესახებ“.
- 1878 — ოიზეფ ბრეიერთან მეგობრობის დასაწყისი.
- 1879 — ერთწლიანი სამსახური ჯარში.
- 1881 — ღებულობს დოქტორის ხარისხს.
- 1882 — ნიშნობა მარტა ბერნეისთან; იწყებს მუშაობას ვენის საქალაქო საავადმყოფოში.
- 1884 — იკვლევს ავადმყოფების კოკაინით მკურნალობის შესაძლებლობებს.
- 1885 — სტაჟირება პარიზში შარკოსთან. შარკო წარმატებით იყენებს ჰიპნოზის ტექნიკას და წინ წამოაყენებს ისტერიის ახსნის ახალ მიზეზებს.
- 1886 — ფროიდი კერძო პრაქტიკას იწყებს ვენაში; ქორწინება მარტა ბერნეისზე.
- 1887 — ფროიდი სპეციალიზირდება ნერვული დაავადებების მკურნალობაზე ელექტროთერაპიისა და ჰიპნოზის გამოყენებით.
- 1891 — ნაშრომში „აფაზიის შესახებ“ ფროიდი მეტყველების დარღვევას, რომელიც დაკავშირებულია ტვინის პათოლოგიებთან.
- 1893 — „ანნა ო.“-ს შემთხვევა; იოზეფ ბრეიერი და ფროიდი ერთად აანალიზებენ პაციენტების ნერვოზებს. ზოგჯერ ფროიდის დასკვნები ეფუძნება ბრეიერის მონათხრობებს.
- 1895 — ბრეიერისა და ფროიდის ბოლო საერთო სტატიაში „ისტერიის კვლევა“ აღწერილია „ანნა ო.“-ს შემთხვევა. შემდგომშო ფროიდი მუშაობს დამოუკიდებლად.
- 1896 — პირველად გაიჟღერა ტერმინმა „ფსიქოანალიზი“; გარდაიცვალა ფროიდის მამა.
- 1897 — ფროიდი დაკავებულია თვითანალიზით, რომელმაც მიიყვანა იგი ნერვოზების ტრავმატული ბუნების იდეებთან, ბავშვური სექსუალობის და ოიდიპოსის კომპლექსის აღმოჩენამდე.
- 1899 — დეკემბერში გამოდის „სიზმრები“ (გამოცემის მონაცემებში მითითებულია 1900 წელი). ფროიდის ეს წიგნი შეიცავს თავისი საკუთარი და პაციენტების სიზმრების ანალიზს.
- 1901 — გამოქვეყნდა „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია“.
- 1902 — ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიური საზოგადოება, რომელიც იკრიბებოდა ოთხშაბათობით.
- 1905 — „სამი ნარკვევი სექსუალობაზე“, „ისტერიის ანალიზის ფრაგმენტი“ (დორას შემთხვევა), „იუმორი და მისი კავშირი არაცნობიერთან“.
- 1906 — მეგობრობის დასაწყისი ნიჭიერ შვეიცარიელ ფსიქიატრთან კარლ გუსტავ იუნგთან.
- 1908 — პირველი საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური კონგრესი ზალცბურგში.
- 1909 — მეგობრებისა და მოსწავლეების თანხლებით ფროიდი მიემგზავრება აშშ-ში ფსიქოანალიზზე ლექციების წასაკითხად.
- 1912 — წიგნში „ტოტემი და ტაბუ“ ფროიდი წამოაყენებს იდეას, რომ კულტურისა და რელიგიის საფუძველი არის სექსუალური ინსტინქტების განდევნის მექანიზმები.
- 1914 — იუნგის მიერ კავშირის გაწყვეტა ოფიციალურ ფსიქოანალიტიკურ მიმდინარეობასთან.

- 1915 — ლექციების კურსი ვენაში „შესავალი ფსიქოანალიზში“.
- 1919 — შეისწავლის ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ფსიქოლოგიას.
- 1920 — ქალიშვილ სოფის გარდაცვალება;

წიგნში „კმაყოფილების პრინციპის მეორე მხარეს“ წამოყენებულია ახალი ცნება „სწრაფვა სიკვდილისკენ“ — ინსტინქტი, რომელიც კონფლიქტში მოდის სიცოცხლის ინსტინქტთან.

- 1921 — გამოქვეყნდა „მასების ფსიქოლოგია და მე-ს სფეროს ანალიზი“.
- 1923 — წიგნში „ეგო და იდი“ ფროიდი პირველად აღწერს სრულად ფსიქიკის სტრუქტურას — „ეგო“, „სუპერ-ეგო“, „იდი“; ექიმები ფროიდს დიაგნოზს უსვამენ: პირის ღრუს კიბო; საყვარელი შვილიშვილი, 4 წლის ჰაინცის სიკვდილით გამოწვეული დეპრესია.
- 1925 — მეგობრობის დასაწყისი ბერძენ ქალთან მარია ბონაპარტთან.
- 1926 — წიგნში „განდევნა, სიმპტომები და შიშები“ წამოყენებულია ახალი თეორია შიშისა, როგორც „ეგო“-ს დაცვის მექანიზმი.
- 1927 — გამოქვეყნდა „ერთი ილუზიის მომავალი“. ფროიდი აცხადებს, რომ არ ღებულობს არცერთ რელიგიას და ამტკიცებს თავის ათეიზმს.
- 1930 — ნაშრომში „უკმაყოფილება კულტურით“ ფროიდი მსჯელობს ადამიანის მოთხოვნილებების და საზოგადოების მოთხოვნების დრამატულ შეუსაბამობაზე.
- 1932 — მიმოწერა აინშტაინთან, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა სათაურით „რატომ ომი?“.
- 1933 — ბერლინში ფაშისტები წვავენ ფროიდის წიგნებს ლოზუნგით „სექსუალური ცხოვრების სულის დამანგრეველი გადაფასების წინააღმდეგ და ადამიანის სულის კეთილშობილებისთვის“; ავსტრიის შეერთება გერმანიასთან;
- 1936 — ფროიდის 80 წლის იუბილე. ბრიტანეთის სამეფო საზოგადოება ირჩევს მას წევრ-კორესპონდენტად.
- 1938 — ფროიდი მეუღლესთან და ქალიშვილ ანნასთან ერთად საცხოვრებლად გადადის ლონდონში, რაშიც მას დაეხმარა მარია ბონაპარტი. ფროიდი განაგრძობს პაციენტების მიღებას და მუშაობს წიგნზე „ადამიანი მოსე და მონოთეისტური რელიგია“.
- 1939 წლის 23 სექტემბერი — ფროიდი გარდაიცვალა ლონდონში.

## ცნობილი ფრაზები

- „ჩვენი საუკეთესო სათნოებანი ამოზრდილია უბოროტეს მიდრეკილებათა ნიადაგზე.“
- „ფსიქიკურიდან წინასწარგანზრახულობის გამორიცხვა არ შეიძლება.“
- „ანატომია ბედია.“
- „ღმერთის საფუძველი სხვა არაფერია თუ არა განდიდებული მამა.“
- „ეგო არ არის მბრძანებელი საკუთარ სახლში.“
- „სადაც არის იდი, უნდა მოვიდეს ეგო.“
- „აზროვნება არის ექსპერიმენტი მცირე ენერგეტიკული დანახარჯებით, როგორც სარდალი გადაადგილებს პატარა ფიგურებს რუქაზე რათა ჯარმა წინასწარ განსაზღვროს საკუთარი მისია.“
- „რელიგია არის ილუზია და იგი დამყარებულია ადამიანის ინსტინქტურ წაქეზებებზე.“
- „სექსის ეფექტი არის ჩახშობათა მათემატიკური ჯამის პროპორციული.“
- „ზოგჯერ სიგარა უბრალოდ სიგარაა.“
- „პარანოიდი ბოლომდე არასდროს ცდება.“
- „ერთი რამ, რაც შეიძლება მოკლედ ითქვას მასტურბაციის შესახებ არის ის, რომ იყო დარცხვენილი.“
- „ჩვენ ვართ ჩვენი მისწრაფებები.“
- „არასდროს ვართ ისეთი დაუცველი ტანჯვისგან, როგორც მაშინ, როდესაც ვართ სიყვარულში.“
- „სიყვარული და შრომა ადამიანურობის ქვაკუთხედია.“

- „შეცდომიდან შეცდომამდე შესაძლებელია დიდი ჭეშმარიტების აღმოჩენა.“

## რესურსები ინტერნეტში

- ზიგმუნდ ფროიდი, ცხოვრება, შრომები, ფოტოგალერეა [1]
- Sigmund Freud - birthplace Pribor - Czech republic [2]

## მინიშნებები

[1] http://burusi.wordpress.com/psycho/sigmund-freud/
[2] http://freud.pribor.cz/

# ერიხ ფრომი

**ერიხ ფრომი** (*Erich Fromm*) (დ. 23 მარტი, 1900, ფრანკფურტი — გ. 18 მარტი, 1980, ლოკარნო) — ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოანალიტიკოსი, ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელი, ნეოფროიდიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

## ბიოგრაფია

ერიხ ფრომი პატრიარქალურ ებრაულ ოჯახში აღიზარდა. დედამისი, როზა კრაუზე, რუსეთიდან ემიგრირებული რაბინის ქალიშვილი იყო; საგვარეულოს სხვა წარმომადგენლები თალმუდის ღრმა ცოდნით გამოირჩევოდნენ, რის გამოც ებრაულ სათვისტომოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ნათესავების გავლენის ქვეშ მოქცეულმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა, რომ იუდაიზმის შესწავლა და გავრცელება მისი მოწოდება იყო.ფრომის საყვარელ წიგნს ბავშვობაში ძველი აღთქმა წარმოადგენდა, რომელშიც მას განსაკუთრებით სამი ეპიზოდი ხიბლავდა: ადამ და ევას განდევნა სამოთხიდან, სოდომის ისტორია და იონა — წინასწარმეტყველის ამბავი. მამამისი, ნაფტალი ფრომი, აგრეთვე რაბინების შთამომავალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვაჭრობას ეწეოდა, ის ორთოდოქსულ ტრადიციებს იცავდა, რაც უარყოფითად აისახებოდა მის კომერციულ საქმიანობაზე, ვინაიდან ის გაცილებით უფრო დიდ დროს უთმობდა მრავალრიცხოვანი რიტუალების აღსრულებასა და რელიგიური ტექსტების გარჩევას, ვიდრე მყიდველების მომსახურებას. ამის გამო სიდუხჭირე ფრომთა ოჯახის მუდმივი თანმდევი იყო. ფრომი ხშირად აღნიშნავდა, რომ ის სუბკულტურული გარემო (იხ.სუბკულტურა), რომელშიც იგი აღიზარდა, ანგარებისგან და პრაგმატიზმისგან შორს იყო, რომ კაპიტალისტური ფასეულობების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება მას ბავშვობაში ჩამოუყალიბდა იუდაიზმის გავლენით (ეს უკანასკნელი კი ქადაგებს, რომ მატერიალური კეთილდღეობა არა თუ თვითმიზანია, არამედ სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა). თუმცა ამ სკეპტიციზმმა ნიჰილიზმისაკენ და სულიერი ფასეულობების უარყოფისკენ ევოლუცია არ განიცადა.

კაპიტალისტური ფასეულობების უარმყოფელი და სოციალური რეკონსტრუქციის მომხრე ფრომი არც ტრადიციულ კონსერვატიზმის იდეოლოგიას იზიარებდა. ფრანკფურტში ფრომი ებრაულ სკოლაში დადიოდა, რომელშიც რელიგიური ტრადიციების გარდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც ისწავლებოდა. 1918 წელს ატესტატის მიღების შემდეგ ფრომმა სამართლის შესწავლა გადაწყვიტა, ხოლო რელიგიური განათლების მიღებაზე უარი განაცხადა. სამართალს ფრომი აღიქვამდა, როგორც რაიმე საზოგადოების ეთიკურ მინიმუმს, ეთიკის კავშირს რელიგიასთან კი ფრომი ყოველთვის ნათლად ხედავდა, ასე რომ, მის ამ გადაწყვეტილებაში რადიკალური არაფერი იყო. სამართლის ხიბლი მალე გაქარწყლდა, რის შემდეგ ფრომი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში გაემგზავრა . აქ ფრომი სწავლობდა ფილოსოფიას, სოციოლოგიას და ფსიქოლოგიას. იმხანად ჰაიდელბერგში კარლ იასპერსი, მაქს ვებერი და ალფრედ ვებერი მოღვაწეობდნენ,; უკანასკნელი ფრომის დისერტაციის ხელმძღვანელი იყო. 1922 წელს მას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

შემდეგ ფრომმა სწავლა ფსიქოანალიზის ბერლინის ინსტიტუტში განაგრძო. აქ მან ორთოდოქსული ფროიდიზმი სრულფასოვნად შეისწავლა, და კლინიკურ პრაქტიკაში მისი გამოყენება დაიწყო.მისი ნაშრომები

სერიოზულ ფსიქოანალიტიკურ ჟურნალებში იბეჭდებოდა (მაგალითად, "იმაგო"-ში).ზიგმუნდ ფროიდს ფრომი პირადად არ იცნობდა, თუმცა მისი მოძღვრებით მოხიბლული და გამსჭვალული იყო. ამის მიუხედავად, საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ ფროიდიზმის რადიკალური რევიზია სწორედ ფრომმა მოახდინა . ჰაიდელბერგში ფრომმა ფსიქოანალიტიკოსი ქალი ფრიდა რაიჰმანი გაიცნო, რომელიც მასზე 10 წლით უფროსი იყო. ფრიდა ჯერ ფრომის პაციენტი გახდა, შემდეგ ისინი დაქორწინდნენ. მათი კავშირი არამდგრადი აღმოჩნდა (4 წლის შემდეგ მეუღლეები ერთმანეთს გაშორდნენ). 1930 წელს ფრომი ფრანკფურტის სკოლის დამაარსებლებთან (მაქს ჰორკჰაიმერთან, თეოდორ ადორნოსთან და ჰერბერტ მარკუზესთან) იწყებს თანამშრომლობას. 1932 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით ფრომმა ადოლფ ჰიტლერის ახლო მომავალში გამარჯვება ინინასწარმეტყველა. 1933 წელს მან გერმანია დატოვა დააშშ-ს შეაფარა თავი.

1941 წელს მისი პირველი წიგნი გამოქვეყნდა, ეს იყო აწ კლასიკად ქცეული ნაშრომი "თავისუფლებისგან გაქცევა"("Escape from freedom"), რომელშიც მან ტოტალიტარიზმის სახეობები გამოააშკარავა და დაგმო.გერმანიაში ამ წიგნმა ფრომის მიმართ ბრმა სიძულვილის ტალღა გამოიწვია. 1940-იან წლებში ფრომი ფრანკფურტის სკოლას ემიჯნება, რადგან აღარ იზიარებს მარკუზეს და ადორნოს იდეებს. ის პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით და პრაქტიკული ფსიქოანალიზითაა დაკავებული. კლინიკურმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ნევროზების უმრავლესობას არა მარტო ბიოლოგიური, არამედ სოციალური ფაქტორებიც იწვევენ. ასე ფრომი საბოლოოდ გაემიჯნა კლასიკურ ფროიდიზმს. ფრომი ომის შემდეგ გერმანიაში აღარ დაბრუნდა. 1949 — 1969 წწ. იგი მექსიკაში ცხოვრობდა. აქ ფრომი ხშირად კაპიტალისტური წყობის კრიტიკით გამოდიოდა. 1960 წელს ის აშშ-ს სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანდა,მან ამ პარტიის პროგრამაც კი შეიმუშავა, რომელიც არ იქნა მიღებული პარტიაში არსებული შიდა განხეთქილების გამო. ამ წარუმატებლობის მიუხედავად, ფრომი არ ტოვებს პოლიტიკურ ასპარეზს, განაგრძობს ლექციების კითხვას და მიტინგებში მონაწილეობას. 1969 წელს პირველი ინფარქტის შემდეგ, ფრომი შვეიცარიაში მიემგზავრება. აქ, ლოკარნოში, მან სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა. მთელი ამ დროის განმავლობაში იგი სრულფასოვან შემოქმედებას ეწეოდა.

## ფილოსოფიური იდეები

თავისუფლების საკუთარ კონცეფციას ერიხ ფრომმა რადიკალური ჰუმანიზმი უწოდა.ამ კონცეფციის იდეური წყაროების ნუსხაში შეგვიძლია ვიხილოთ: კარლ მარქსი, ზიგმუნდ ფროიდი, ებრაელი წინასწარმეტყველები, ბუდა, ლაო-ძი. ფრომის აზრით, ტექნოლოგიურმა პროგრესმა კაცობრიობას საყოველთაო ბედნიერება და კეთილდღეობა ვერ მოუტანა, მატერიალურ — ტექნიკურ პროგრესს ადამიანების სულიერი სრულყოფა თან არ სდევდა, რის გამოც თანამედროვე საზოგადოებაში სრული ქაოსია გაბატონებული. მატერიალური კომფორტის კულტით შეპყრობილ საზოგადოებას ფრომმა შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვა. ფრომის აზრით, რელიგიები ორ ჯგუფად იყოფა: 1) ავტორიტარული; 2) ჰუმანისტური. ავტორიტარული რელიგია გულისხმობს ადამიანის მიერ ისეთი გარე, უზენაესი და უხილავი ძალის აღიარებას, რომელიც მის ცხოვრებას ცალსახად განსაზღვრავს და ითხოვს უპირობო თაყვანისცემას და მორჩილებას. ამავდროულად, მორჩილება ეფუძნება არა ღვთაების ზნეობრივ თვისებებს, არამედ მხოლოდ ძალაუფლების ფაქტს. ღვთაება ყოვლისშემძლეა და ყოვლისმცოდნე, ადამიანი არარაობაა. ადამიანის მიღმა არსებული ამ ძალის წინაშე ინდივიდი უმწეოა, ერთადერთი გამოსავალი სრული კაპიტულაციაა, მარტოობის და შემოსაზღვრულობის დაძლევა მხოლოდ ამ აქტითაა შესაძლებელი.ინდივიდი კარგავს დამოუკიდებლობას, სანაცვლოდ კი უსაფრთხოებისა და უსასრულობასთან ზიარების განცდებს იძენს. ასეთ რელიგიაში მორჩილება უზენაესი სათნოებაა, ხოლო უმძიმეს ცოდვას დაუმორჩილებლობა წარმოადგენს. ამ დოქტრინებში ტანჯვის და დანაშაულის გრძნობები დომინირებენ. ავტორიტარულ რელიგიას ხშირად პოსტულატის სახით შემოაქვს აბსტრაქტული და შორეული იდეალი ("სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ", "კაცობრიობის კეთილდღეობა"), რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს რეალური ადამიანების რეალურ ყოფასთან, და რომელსაც რელიგიური თუ საერო "ელიტა" ადამიანთა დიდი ჯგუფების სამართავად იყენებს. ასეთი სიმბოლოების საშუალებით ნებისმიერი მიზნის და ნებისმიერი მსხვერპლის გამართლებაა შესაძლებელი. ავტორიტარული რელიგიის კლასიკურ მაგალითად ფრომი კალვინის თეოლოგიას მიიჩნევს. ჰუმანისტურ რელიგიაში სამყაროს ცენტრი

ადამიანია. ამ კონცეფციის თანახმად, ადამიანმა საკუთარი გონი უნდა განავითაროს, რათა შეიცნოს მიმართება საკუთარ თავსა და გარე სამყაროს შორის. მან ადამიანები უნდა შეიყვაროს და ყველა ცოცხალი არსების ერთიანობა მოიაზროს და შეიგრძნოს. ჰუმანისტური რელიგია მიზნად ადამიანის დაუძლურებას კი არ ისახავს, პირიქით, მისი მიზანი ძლიერი ინდივიდია, რომელიც სამყაროს სიხარულით ეგებება. მთავარი სათნოება არა მორჩილებაა, არამედ თვითრეალიზაციაა. ღმერთი ასეთ რელიგიაში ადამიანის შესაძლებლობების ზღვრული სიმბოლოა; ის ადამიანზე ძალადობას და ბატონობას არ განასახიერებს. ჰუმანისტური რელიგიის მთავარ შემოქმედებად ფრომი ლაო-ძის, ბუდას, სოკრატეს, იესო ქრისტეს, სპინოზას ასახელებს. მათი მოძღვრებები მხოლოდ დეტალებში განსხვავდებიან, ლაიტმოტივი კი ერთია: ადამიანის ამოცანა ჭეშმარიტების შემეცნებაა, ინდივიდი იმდენადაა ადამიანი, რამდენადაც მან ამ ამოცანის გადაჭრა შეძლო.იგი თავისუფალი უნდა იყოს; ადამიანი თვითმიზანია, და არა სხვა ადამიანების მიზნების მისაღწევად არსებული საშუალება. მის მთავარ მამოძრავებელ ძალას სიყვარული უნდა წარმოადგენდეს. რაც ეხება ფსიქოანალიზს, მის დანიშნულებას, ფრომის აზრით, სამყაროს მიმართ სწორედ ასეთი,ჰუმანისტურ-რელიგიური დამოკიდებულების შექმნა წარმოადგენს. მაშასადამე, იგი მხოლოდ ავტორიტარულ რელიგიას უპირისპირდება. რელიგიას ემუქრება არა ფსიქოანალიზი, არამედ თანამედროვე ადამიანის საბაზრო ორიენტაცია. თანამედროვე ადამიანი უზენაეს მიზანს აღარ ეძებს, ის ეკონომიკური მანქანის ინსტრუმენტად გადაიქცა, რომლის ერთადერთი საზრუნავი წარმატების მიღწევაა.ეს უკანასკნელი მას ბედნიერებასთან აქვს გაიგივებული. საბაზრო ორიენტაციის პირობებში ადამიანი მხოლოდ გარკვეული ტიპის საქონელია, რომლის "ფასს" მის მიღმა არსებული, მისგან დამოუკიდებელი ფაქტორები განსაზღვრავენ, ასეთი ვითარება კი საზიანოა ინდივიდუალური თვითშეფასებისთვის. იქმნება ახალი ტიპის ადამიანი, რომლის ქცევას გაუცხოება და უმწეობა განსაზღვრავს. ამასთანავე, იგი კერპთაყვანისცემელია: მისი კულტის ობიექტებია სახელმწიფოს ინსტიტუტი, ავტორიტარული ბელადის ფიგურა, მეცნიერება და მის მიერ შობილი ტექნოლოგია და სხვ. ავტორიტარული და ჰუმანისტური ელემენტები ხშირად ერთი და იმავე რელიგიური ტრადიციის ფარგლებში თანაარსებობენ განუწყვეტლივი კონფლიქტის პირობებში.ისტორია ადასტურებს, რომ რელიგიურ გამოცდილებას და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სტრუქტურას შორის გარკვეული კორელაცია არსებობს, კერძოდ, იმ საზოგადოებაში, რომელსაც ადამიანთა მცირერიცხოვანი ძლევამოსილი ჯგუფი ძალისმიერი მეთოდებით მართავს,და რომელშიც შიშით შეპყრობილ ინდივიდს ძლიერი და დამოუკიდებელი განცდების უნარი დაქვეითებული აქვს, რელიგიის ავტორიტარული ფორმაა გაბატონებული. ჰუმანისტური რელიგიური გამოცდილება იქმნება იმ საზოგადოებებში, სადაც პიროვნება ან გრძნობს თავისუფლებას და პასუხისმგებლობას, ან თავისუფლებისთვის მებრძოლ უმცირესობაშია გაწევრიანებული. მსოფლიო რელიგიების ტრაგედია მდგომარეობს შემდეგში: თავის განვითარების ერთ--ერთ ეტაპზე ისინი მასობრივ ორგანიზაციებად ყალიბდებიან, მათ საკუთარი ბიუროკრატიული აპარატი უჩნდებათ, რის შემდეგ ისინი თავისუფლების პრინციპებს რყვნიან და არღვევენ. ადამიანი ეთაყვანება არა ღმერთს, არამედ სხვა ადამიანებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ უფალი მათი საშუალებით გამოხატავს თავის ნებას.

## სიყვარული

ყველა ეპოქაში და ნებისმიერ კულტურაში ადამიანის წინაშე ერთი და იგივე საკითხი დგას: ეს არის ადამიანს და სამყაროს შორის არსებული დისჰარმონიის დაძლევა, ინდივიდუალური შემოსაზღვრულობის დამარცხება და უნივერსუმთან ერთიანობის აღდგენა. სამყაროს ამ გამოწვევაზე ადამიანები სხვადასხვანაირად პასუხობენ: აგრესიით, ასკეტიზმით,შემოქმედებით, სიყვარულით, რწმენით.

## რესურსები ინტერნეტში

[1] დისკუსია თემაზე: სიყვარულის ხელოვნება

[2] ერიხ ფრომი

## მინიშნებები

[1] http://miambe.blogspot.com/2007/10/blog-post_28.html
[2] http://dekultur.blogspot.com/2011/02/erich-fromm.html

# დიმიტრი უზნაძე

**დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე** (დ. 2 დეკემბერი, 1886, სოფელი ქვედა საქარა, ამჟამად ზესტაფონის მუნიციპალიტეტი — გ. 9 ოქტომბერი, 1950, თბილისი), ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ერთ-ერთი დამფუძნებელი (1918), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946), ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1935), პროფესორი (1918).

## ბიოგრაფია

1904 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, ხოლო 1909 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. იმავე წელს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი დაიცვა ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში (გერმანია). ეს ნაშრომი ეძღვნებოდა ვ.სოლოვიოვის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და წარმოადგენდა ამ საკითხზე დაცულ პირველ სადისერტაციო ნაშრომს. 1913 წელს უზნაძემ ექსტერნის წესით დაასრულა ხარკოვის უნივერსიტეტის (უკრაინა) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიის განხრით.

1909-1918 წლებში უზნაძე მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1917 წელს მან ქუთაისში გამოსცა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო. 1917-1918 წლებში იყო *თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების* წევრი. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად აფუძნებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1918-1950 წლებში იყო ამ უნივერსიტეტის პროფესორი და მის მიერვე დაარსებული ფსიქოლოგიის კათედრის გამგე იყ. 1935 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1941 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის პირველი სამეცნიერო დაწესებულება - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 წელს გარდაიქმნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტად. როგორც სექტორის, ისე ინსტიტუტის დირექტორი იყო დიმიტრი უზნაძე. დღეს ეს ინსტიტუტი, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მთელს მსოფლიოში, მის სახელს ატარებს. 1933-1942 წლებში უზნაძე იყო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფსიქოლოგიის კათედრის პირველი გამგე.

უზნაძის სამეცნიერო შრომები (რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზე) ეძღვნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თაოსნობით შექმნილი "განწყობის თეორია", რომელიც სამართლიანად ითვლება თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი ფუძემდებლური მონოგრაფია "განწყობის ფსიქოლოგია" (D.N. Uznadze, "The Psychology of Set", New York, 1966). ამ მიმართულებით ინტენსიურ კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა 1923 წელს, როდესაც თსუ-ის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში "ჩვენი მეცნიერება" (N 1) გამოქვეყნდა დ. უზნაძის სტატია. ჯერ კიდევ 1939 წელს სკანდინავიაში გამომავალ ავტორიტეტულ საერთაშორისო ჟურნალში "Acta Psychologica" გამოქვეყნდა განწყობის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი მისი ვრცელი ნაშრომი. სწორედ ამ დროიდან ქართველი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობა მოექცა მსოფლიოს ფსიქოლოგთა ყურადღების ცენტრში. ამდენად, დღეს დიმიტრი უზნაძე სამართლიანად ითვლება განწყობის ფსიქოლოგიის მამამთავრად. გარდა ამისა, უზნაძე ითვლება

ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ფსიქოლოგიის ფუძემდებლად საქართველოში. ჯერ კიდევ 1912 წელს მან გამოსცა "ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი", რითაც სათავე დაუდო ჩვენში ამ მიმართულებას.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უზნაძე აქტიურად მონაწილეობდა 1910-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იყო *საქართველოს სოციალ-ფერედალისტთა პარტიის* თვალსაჩინო მოღვაწე, 1917-1919 წლებში კი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომაზე, მან ხელი მოაწერა *"საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს"*.

დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს, 63 წლის ასაკში. დაკრძალულია თსუ-ის ბაღში.

## უზნაძის მიდგომები თამაშსა და სწავლაზე

დ. უზნაძე თავისი თეორიის ფარგლებში აშუქებს ბავშვის თამაშისა და სწავლის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ფუნქციას. უზნაძის აზრით, ყველა ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობას მოძრაობა, აქტიურობა შეადგენს. არ არის აუცილებელი, რომ ცოცხალი ორგანიზმის ასამოქმედებლად მასზე რაიმე გამღიზიანებელი ზემოქმედებდეს. ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი თავისებურებაა მასში არსებული ძალების მოქმედება, აქტივობა. ამ თავისებურებას უზნაძის განმარტებით ფუნქციონალური ტენდენცია ჰქვია.

დ. უზნაძის თეორიის თანახმად, თამაშის ძირითად არსს ბავშვის შესაძლებლობათა აქტივაცია წარმოადგენს. კერძოდ, ბავშვი არა მხოლოდ იმ ძალებითაა აღჭურვილი, რომლებიც ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია მისი განვითარების ამ ეტაპზე, არამედ იმ ძალებითაც, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო და რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება განვითარების შემდგომ ეტაპებზე. ბიოლოგიურად აუცილებელი ფუნქციები მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იმპულსით მოქმედებს, ხოლო ძალების მეორე ჯგუფი მოქმედებს ფუნქციონალური ტენდენციის საფუძველზე. თამაში სწორედ ამ ძალთა მოქმედების გამოვლინებაა.

მნიშვნელოვანია, რომ თამაშის საშუალებით ხდება იმ ძალების და შესაძლებლობების განვითარება, რომელიც შემდგომში სერიოზული საქმიანობის განხორციელების საფუძველი ხდება. სასკოლო ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ცხოვრებაში სწავლა დიდ ადგილს იკავებს, არანაკლები დრო ეთმობა თამაშს, განსაკუთრებით კი ფიზიკურ თამაშებს. ამასთან, სკოლის ასაკის ბავშვების თამაში სპეციფიკურ სახეს იძენს. ბავშვი მარტო აღარ თამაშობს. მას აუცილებლად ჰყავს პარტნიორი და, ამასთან, მისი თამაში მიზანდასახული ქცევების ფორმად იქცევა, რომელიც საკუთარი ძალების გამოცდის, თანატოლებთან შეჯიბრის ხასიათს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქცევითაც არანაირი პროდუქტი არ იქმნება, მისი მიზანი თვითგანვითარება, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების გამოცდაა. სწორედ ამიტომ, მოზარდი ზოგჯერ მარტოც მიმართავს საკუთარი მოტორული აპარატის ამოქმედებას. იგი თითქოს თავის თავს ეჯიბრება და ცდილობს სულ უფრო და უფრო დახვეწილი და ძლიერი მოძრაობები შეასრულოს.

ამგვარად, ამ ასაკში თამაში მოძრაობათა განვითარების, გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზანს ემსახურება და იგი შეჯიბრის პირობებში ხორციელდება, რომელიც გულისხმობს გარკვეული წესებისა და პირობების დაცვას. შედეგად, მოზარდი "ფიზიკური თამაშის" გზით გაითავისებს საზოგადოებაში არსებულ, გარკვეულ წესებს და ნორმებს, რაც ეხმარება მას პიროვნებათშორისი ურთიერთობებისა და ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებაში.

დ. უზნაძის მიხედვით, სწავლა ადრეული ბავშვობიდან იწყება, მაგრამ დასრულებულ შინაარსს სწავლა სკოლის გარემოში იძენს. ამ პერიოდში სწავლა ქცევის ძირითად ფორმად იქცევა. სწავლა არა მხოლოდ რაიმე ცოდნის შეძენას გულისხმობს, არამედ შესაძლებლობების შეძენასაც, უნარების განვითარებასაც. სწორედ ამიტომ, სწავლის პროცესში არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის ან ჩვევის დაუფლება ხდება, არამედ მოსწავლის იმ უნარებისა და შესაძლებლობების ("ძალების") განვითარებაც, რომლებიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ. უფრო მეტიც, უზნაძის აზრით, სწავლაში ძირითადი სწორედ ამ უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაა. თუმცა, თამაშისგან განსხვავებით, სწავლის პროცესში ბავშვის ძალების აქტივაცია უფროსის (მასწავლებლის) მიერ მიწოდებული მასალის საფუძველზე ხორციელდება და, ამ მხრივ, სწავლა ქცევის გარდამავალი ფორმაა თამაშსა და შრომას შორის.

სასკოლო გარემოში სწავლა გარკვეულ სასწავლო მასალასთან ერთად აუცილებლად მასწავლებელსაც გულისხმობს, კერძოდ კი მის მონაწილეობას სწავლის პროცესში. მასწავლებლის ფუნქცია მასალის უბრალოდ მიწოდება და გამოკითხვა კი არ არის, არამედ - სწავლება. მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს, რისთვისაც სასწავლო მასალას მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით გარდაქმნის და ისე აწოდებს მას. მასალა, ერთი მხრივ, მოსწავლის ცოდნისა და უნარების ("ძალთა") აქტუალური დონის შესატყვისი უნდა იყოს, მეორე მხრივ, კი - მისგან გარკვეულწილად დაშორებული, რათა ხელი შეუწყოს განვითარებას. მასწავლებლის ფუნქცია სწორედ ამ პირობების რეალიზაციაა: მოსწავლისათვის ახალი მასალის მისაწვდომად გადაცემა, "ახსნა." "ახსნა კი უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს." ამგვარად, მოსწავლის განვითარების პროცესში მასწავლებელი შუამავალია მასალასა და მოსწავლეს (მის "ძალებს") შორის. ახსნის შედეგად მანამდე პრაქტიკულად მოცემული გარკვეული ფაქტი ბავშვისთვის დაკვირვების ობიექტად იქცევა, მისი ცნობიერებისთვის ხდება მისწავდომი. რაიმე ფაქტი, მოვლენა თუ საგანი სწავლის შედეგად ბავშვისთვის არა მხოლოდ პრაქტიკულად მოცემულად არსებობს, არამედ ცნობიერებაშიც ინახება ცნებათა სახით.

ამრიგად, უზნაძის მიხედვით, სწავლის ძირითადი არსი ახსნაში და ამ გზით, მოვლენათა, ფაქტთა და საგანთა ცნობიერებაში ასახვასა და მოზარდის ცნებითი აზროვნების განვითარებაში მდგომარეობს.

## რესურსები ინტერნეტში

- უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი [1]
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი [2]
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია [3]
- განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის ტ.2 [4], ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2008
- დიმიტრი უზნაძე, ცხოვრება შემოქმედება [5]

## მინიშნებები

[1] http://www.acnet.ge/psycho.htm
[2] http://www.tsu.edu.ge
[3] http://www.acnet.ge
[4] http://ganatleba.org/download.php?file=publications/leqsikoni_2.pdf
[5] http://burusi.wordpress.com/psycho/dimitri-uznadze/

# სტატიის წყაროები და ავტორები

**ფსიქოლოგია** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2163226 *რედაქტორები*: A. B., Alsandro, Giorgi13, MIKHEIL, Mai.jincharadze, Natiajincharadze, Nika1010, Otogi, Purbo T, Temo, Tengiz Verulava, გიგა, 7 ანონიმური რედაქტირებები

**ფსიქოანალიზი** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2098242 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Ljova, Otogi, Temo, Zangala, გიგა, რაჯი ფილიპია.Bluetooth a, 8 ანონიმური რედაქტირებები

**ფსიქოდინამიკა** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=1860964 *რედაქტორები*: Alsandro, Island, Rodrigocd, Temo, გიგა

**ზიგმუნდ ფროიდი** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2168273 *რედაქტორები*: Alsandro, Beso Gvenetadze, CommonsDelinker, Gemini1980, George Tarielashvili, Giorgi13, Henry McClean, ITshnik, Island, Jurajurecka, Kvijhmena, Temo, Tengiz Verulava, Trulala, Varlaam, Zangala, Zolokin, გიგა, პაატა შ, 17 ანონიმური რედაქტირებები

**ერიხ ფრომი** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2142556 *რედაქტორები*: Aeterna, Alsandro, Common Good, CommonsDelinker, Island, K tamo, Khatia, Linguistus, MIKHEIL, Zangala, გიგა, 4 ანონიმური რედაქტირებები

**დიმიტრი უზნაძე** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?oldid=2119229 *რედაქტორები*: Alsandro, Cvata, Ganatleba, Iqra, Island, M., Otogi, Tengiz Verulava, ლევზურ, 5 ანონიმური რედაქტირებები

# Image Sources, Licenses and Contributors

**ფაილი:PSY2.jpg** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:PSY2.jpg *ლიცენზია*: უცნობი *რედაქტორები*: Temo

**ფაილი:Sigmund Freud LIFE.jpg** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Sigmund_Freud_LIFE.jpg *ლიცენზია*: უცნობი *რედაქტორები*: Max Halberstadt UNIQ-ref-0-aae4264dd6973319-QINU (1882-1940)

**ფაილი:freud mind levels.jpg** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Freud_mind_levels.jpg *ლიცენზია*: უცნობი *რედაქტორები*: Temo

**ფაილი:Tavistock_and_Freud_statue.JPG** *წყარო*: http://ka.wikipedia.org/w/index.php?title=ფაილი:Tavistock_and_Freud_statue.JPG *ლიცენზია*: Creative Commons Attribution-ShareAlike 3.0 Unported *რედაქტორები*: Iridescenti

# ლიცენზია

Creative Commons Attribution-Share Alike 3.0 Unported
//creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/